გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ოთხშაბათი, 6 ივლისი, 2005 წელი.
№158 (5191)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუქლეტის სიცყვაა, ცეცხლობით და ჭორებით ბუტბის გაცანა ცვლოა უკადრისობაზე უსამაგლობია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილი“

**„... რეფორმირების სხვა გზა გამოიწვევს ჩვენში ტრადიციულად არსებული მაღალი მეცნიერული და საგანმანათლებლო დარგების ნგრევას და ჩვენი სამშობლოს მრავალთა შორის ერთ-ერთ პროვინციულ ქვეყნად გადაქცევას.**

ეს ასეც მოხდება, თუ დროულად არ აღვუდექით წინ ჩვენი ტრადიციული სტრუქტურებისა და ღირებულებების განურჩეველ ლიკვიდაციას, ხშირად ყოვლად გაუმართლებელი და ნაჩქარევი სტრუქტურული ცვლილებების შემოღებას, რეფორმის „ზემოდან“ უაპელაციო გატარებას და ყველაფრის ერთი საზომის მიხედვით ნიველირებას“...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის პოზიცია

იხ. მე-2 გვ.




## CONFORMIS

**ამ ლათინური ტერმინის ხსენება წესიერ ადამიანებში უხერხულობის გრძნობას იწვევს. უცნაური არაფერია, რადგან კონფორმიზმი რომელიმე პიროვნებისადმი, პოლიტიკური ძალისადმი შეგუებას, უკრიტიკო დამოკიდებულებას, საბოლოოდ, ამ ძალისადმი ნებაყოფლობით სამსახურს ნიშნავს.**

უხერხულობის და სირცხვილის შეგრძნება კი ოდესღაც საკუთარი სინდისის წინააღმდეგ მოქმედებით არის გამოწვეული.

იხ. მე-3–4 გვ.




## ვინ ჰკითხავს „სუდიას“, დაარტყი პენალტი!..



იხ. მე-2 გვ.

### ⊙ ინფორმაცია

#### ჯანდაცვის სამინისტრო მოსახლეობას აფრთხილებს

ჯანდაცვის სამინისტრო მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ურჩევს მათთან „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს“ სახელით მისულ უცნობ პირებს, შესაბამისი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში არ ენდონ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განუცხადეს, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზის ფორმირებისათვის პროგრამის განხორციელებას ნამდვილად იწყებს, თუმცა ჯერჯერობით სააგენტოს წარმომადგენლები ოჯახებში არ დადიან.

სამინისტროს ინფორმაციით, სააგენტოს წარმომადგენლებს სპეციალური უნიფორმა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები აქვთ, რითაც მათი იდენტიფიკაციაა შესაძლებელი.

#### მწერლები აპროტესტებენ

მწერალთა კავშირის შენობის მოსალოდნელ პრივატიზაციას ქართველი მწერლები აპროტესტებენ და დახმარებისთვის საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ღია წერილით მიმართავენ.

„ბატონო პრეზიდენტო! დიდი იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერების, ქართული სულიერებისა და ხელოვნებისადმი განსაკუთრებული მზრუნველობის და გვჯერა, რომ შემოქმედთა გვერდით დადგებით და არ დაუშვებთ სასახლის გასხვისებას, ქართველ მწერალთა დედაბოძისა და კერის მოშლას“, – ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც 14 მწერალი, მათ შორის ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია იოსელიანი, გოდერძი ჩოხელი, გურამ დოჩანაშვილი აწერენ ხელს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მწერალთა კავშირის წარმომადგენლები დღეს სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავენ. დღესვე უზენაესი სასამართლო მათ სარჩელს განიხილავს.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განკარგულებით, გასულ წელს მწერალთა კავშირს მაჩაბლის 13 ნომერში მდებარე შენობა ჩამოერთვა და იგი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა. მწერალთა კავშირის შენობა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ჩაიწერა.

#### გვექნება მშვენიერი კინოქალაქი

ძველი კინოსტუდიის შენობაში, გუშინ საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ (ჯი-არ-დი-სი) პროექტ „კინოქალაქის“ პრეზენტაცია მოაწყო.



„პროექტი ძველი პავილიონის რეკონსტრუქციას, მის ტერიტორიაზე კულტურულ-გასართობი ცენტრისა და ახალი პავილიონის მშენებლობას ითვალისწინებს. პავილიონში განლაგებული იქნება 5 კინოთეატრი, გრანდ-კაფე და საკონცერტო დარბაზი, რაც მომავალში შესაძლებელს გახდის თბილისში გრანდიოზული კინო, მუსიკალური თუ სხვა სახის ფესტივალების ჩატარებას“, – აღნიშნა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში კინოქალაქის პროექტის დირექტორმა ლადო იმნაიშვილმა.

მისი თქმით, პროექტის მშენებლობა 2006 წელს დაიწყება და წელიწადნახევარს გასტანს.

„დღეს პროექტ „კინოქალაქის“ I ეტაპის პრეზენტაციაა. აღნიშნული პროექტის განხორციელებით 1000-მდე ადამიანი დასაქმდება. ამ პროექტის განხორციელებით მოხდება ქართული კინოს დაფინანსებაც“, – აღნიშნა „თი-ბი-სი“ ჯგუფის პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ.

„კინოქალაქის“ განხორციელებას ორმაგი დანიშნულება აქვს. ეს იქნება შესანიშნავი ადგილი ახალგაზრდებისთვის, სადაც მათ შეეძლებათ როგორც გართობის, ასევე შემეცნებითი სახის ინფორმაციის მიღება“, – აღნიშნა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელმა, რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ.

ინტერპრესნიუსი

### ⊙ საზღვარგარეთ

22 წლის ბრიტანელი ჯინა გაუფი საავადმყოფოში მუცლის ძლიერი ტკივილით მოხვდა. ტკივილამდე სამი წლის განმავლობაში, ნაღვლის ბუშტის გადაგვარების გამო, ახალგაზრდა



მხოლოდ კარტოფილის ჩიპსით იკვებებოდა... ექიმებმა ავადმყოფის მუცელი გაჭრეს და აღმოაჩინეს, რომ მისი ნაღველი დამსგავსებოდა მაგიდის ჩოგბურთის პაწია ბურთს, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა გამსკდარიყო... ჩიპსის მოყვარული ამჯერად გადარჩა.

* * *

იაპონიაში დაიჭირეს მამაკაცი, რომელმაც ორი თვის განმავლობაში 4400 ყალბი ზარით სასწრაფო დახმარების მანქანების გამოძახება მოახერხა... თაღლითი ხან ერთობოდა და ანეკ-



დოტებს უყვებოდა მორიგე ოპერატორს, ხანაც უყვიროდა მათ ავადმყოფებთან დაგვიანების გამო. საერთო გაანგარიშებით, სასწრაფო დახმარების ტელეფონის ერთ ნომერზე მან წელიწადში 9500-ჯერ დარეკა.

* * *

რიგის სასამართლომ ლატვიის სეიმის რუსულენოვან დეპუტატს ნიკოლაი კაბანოვს სეიმის ტრიბუნიდან ბოდიშის მოხდა დაავალა.

ამას წინათ კაბანოვმა ლატვიის ოთხ ევროპარლამენტარს



ფაშისტები უწოდა. „ფაშისტებმა“ მას სასამართლოში უჩივლეს და საქვეყნოდ გააწითლეს...

## უშნოა, თან ნაკურთხიც არ არისო!..

### და კობა ხაბაზმა სიღნაღლელებს მემორიალიდან ჯვარი მოატეხინა

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთსა და შიდა ქართლში ასობით ქიზიყელი იბრძოდა. სიღნაღელი და გურჯაანელი მებრძოლებისგან შექმნილი ბატალიონი „ქიზიყი“ ტოლს არ უდებდა სხვა ქართულ შენაერთებს. სიღნაღის რაიონიდან თერთმეტი ვაჟკაცი გმირულად შეეწირა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლას...**

ქიზიყელ ვეტერან მეომართა კავშირმა მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად გადაწყვიტა სიღნაღში დაღუპულთა მემორიალის გაკეთება. აფხაზეთის ომის მონაწილეებმა საკუთარი სახსრები ჩადეს ამ საქმეში. რაიონის მთავარმა არქიტექტორმა, მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმებით, პროექტი შეადგინა, სიღნაღის მერიამ კი მემორიალისთვის ოფიციალურად ბულვარზე მიწაც გამოყო. ამ თაოსნობის შესახებ ქიზიყელ ვეტერან მეომართა კავშირმა წერილი მისწერა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს...

ორიოდე კვირის წინათ, სიღნაღში სარედაქციო მივლინებით ჩასულს, გულმა, უპირველესად, მემორიალისკენ გამიწია. ვიცოდი, უკვე დაესრულებინათ და მაინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა.

მისვლისთანავე, თვალში მომხვდა თეთრი მარმარილოს ფილებზე ოქროს ასოებით ამოტვიფრული გვარები, მაგრამ იქვე მდგარი სიღნაღელების ჩოჩქოლმა განმაცვიფრა. განაწყენების მიზეზი გამოვიკითხე. თურმე ამას წინათ, მემორიალი მოუნახულებიათ კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულს პეტრე ცისკარიშვილს და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადგილობრივი მმართველობისა და პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსს კობა ხაბაზს. ბატონ კობას არ მოსწონებია მემორიალზე აღმართული ჯვარი და მისი მოშორება უბრძანებია. რაიონის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ჯვარი იქვე მოუტეხავს (?!) და გასახსნელად გამზადებული მემორიალი დაუხეიბრებია.



სიღნაღლები აღშფოთებას ვერ მალავდნენ კობა ხაბაზის ნამოქმედარის გამო: იქ, სადაც ქართველთა განმანათლებელი და ვაზის ჯვრით ქრისტიანობის მქადაგებელი წმინდა ნინო განისვენებს, ქრისტეს ჯვარს ასე ულმერთოდ როგორ მოექცნენო?!

ვითარების გასარკვევად, მთავრობის კანცელარიაში კობა ხაბაზს შევხვდი. მან, მართლაც, არ უარყო ზემოხსენებული ფაქტი, ოღონდ იქვე დასძინა, რკინის ჯვარი უხარისხობის გამო არ მომეწონაო. იმ დღეებში სიღნაღში პრეზიდენტი უნდა ჩასულიყო და მისთვის უხერხული იქნებოდა ასეთი ჯვრის ნახვაო. მერე ისიც დაუმატა, ჯვარი ნაკურთხი არ იყოო.

შეკითხვაზე, რას ეტყვით სიღნაღელებს, რომლებიც ეჭვობენ, რომ თქვენ საერთოდ ჯვრის წინააღმდეგი ხართო, ბატონმა კობამ მტკიცედ გადააქნია თავი, მეუფე დიმიტრი (შიოლაშვილი) ჩემი მოძღვარია, მას ჰკითხეთ, როგორი მორწმუნე ვაროო...

შემდეგ სიღნაღის გამგებელს დაუკავშირდა და სთხოვა, მემორიალისთვის მარმარილოს ჯვარი გაეკეთებინათ, ეგება, სიღნაღელების გული ამით მაინც მოვიგოო...

ბატონი კობას გულწრფელობაში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება, მაგრამ ერთი კითხვა მაინც არ მასვენებს: სურათზე გამოსახული ჯვარი უშნოდ და ულამაზოდ სულაც არ გამოიყურება, პირიქით – მემორიალს თავისებურ ესთეტიკურ ხიბლსაც მატებს. ამ მემორიალთან დაღუპულთა ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა ყვავილები უნდა მოიტანონ, სანთელი დაანთონ და დაღუპულთა სულები მოიხსენიონ...

რაც სიღნაღში მოხდა („დაწუნებული“ ჯვრის მოტეხვა), უმტკივნეულოდაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო, და არამც და არამც – ამ ფორმით. არც ის გამოდგება თავის გასამართლებლად, ჯვარი უკურთხებელი იყოო. ამისთვის ჯვრის „მოშორება“ ნამდვილად არ იყო აუცილებელი...

**თამარ შაიშმელაშვილი**

## რატომ იყო რევოლუციამდელი მეფე პიარ-ჩლუნგი?

იხ. მე-2 გვ.

## ძველი თბილისის ინვენტარიზაცია დაიწყო

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო დღეიდან, ძველ თბილისში, ისტორიული ნაწილის ინვენტარიზაციას იწყებს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია მურაჩაშვილმა განუცხადა, ძველ თბილისში საველე სამუშაოები ლერმონტოვისა და დადიანის ქუჩის გადაკვეთის ადგილიდან დაიწყო.

„საქართველოში დღემდე არ არსებობს თბილისის ისტორიული ნაწილის ქალაქ-გეგმარებითი დოკუმანტაცია და სისტემატიზებული ინფორმაცია დაცვით ზონებში მოქცეულ განაშენიანებაზე. აღნიშნული ვითარება ქაოტურ სიტუაციას ქმნიდა და პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა ქალაქის ისტორიული ნაწილის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების მართვა, უკანონო მშენებლობების კონტროლი, დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა, განვითარების პოტენციალის გამოვლენა და ა. შ.“ – აღნიშნა მურაჩაშვილმა.

მისი თქმით, ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთვნენ როგორც ცალკეული სპეციალისტ-ექსპერტები (ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები), ასევე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები.

ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც სახელმწიფოს ექნება სრულყოფილი და სისტემატიზებული ინფორმაცია – დოკუმენტაცია (როგორც გრაფიკულ, ასევე ელექტრონულ სამგანზომილებიან ფორმატში) თბილისის ისტორიულ ნაწილში არსებული განაშენიანების შესახებ.

საველე სამუშაოების დასრულება 2005 წლის ბოლოსთვის იგეგმება. მოპოვებული მასალის გრაფიკული ვიზუალიზაცია და ელექტრონულ ფორმატში დამუშავება კი 2006 წლის დასაწყისში დასრულდება.

## ალბაკიარა პიცუტო:

## ვშიშობ, რომ ქართველები ვერ აცნობიერებენ, თუ რა საგანძურს ფლობენ

იხ. მე-7 გვ.

პრეზიდენტი

# მიხეილ სააკაშვილი: „ახლა ჩვენი ფეხზე დადგომის დროა... რატომაც არა!“



**როგორც ვიტყობინებოდით, 4 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გახსნა ორიოდე თვის წინათ ავტოკატასტროფაში დაღუპული გურიის გუბერნატორის ჟანი კალანდაძის სახელობის აუდიტორია.**

**ქვეყნის პირველმა პირმა შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა და ჟანი კალანდაძეს ქართველი ახალგაზრდობის ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი უწოდა.**

– ისევე, როგორც თავის დროზე ზურაბ ჟვანიამ ძალიან ბევრ პოლიტიკოსს გაუხსნა გზა ქართულ პოლიტიკაში, მათ შორის მეც, და ამით ძალიან ვამაყობ, ჩვენ შევუქმენით საშუალება ჟანის, რომ მოეხდინა თავისი პოტენციალის რეალიზება. ჟანი კალანდაძე იმის განსახიერება იყო, თუ როგორი უნდა იყოს ახალი საქართველოს ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე. იგი მებრძოლი წესიერების განსახიერება იყო, – გაჩნდა სრულიად ახალი მენტალიტეტის ხალხი. ამის მაგალითად საქართველოს პრეზიდენტმა დაასახელა ქართული ჯარის ღირსეული წარმომადგენელი მიხეილ ქუთათელაძე, რომელიც, როგორც სამშვიდობო ოპერაციის მონაწილე, მძიმედ დაიჭრა ერაყში. თავისი ცხოვრების წესით ნამდვილად გმირი, იგი ჭეშმარიტად გმირი მამის – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ბესო ქუთათელაძის შვილია. დაჭრილი მიხეილი ჰოსპიტალში მოინახულა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, რომელიც მის საწოლთან 15-20 წუთის განმავლობაში დეტალურად ესაუბრა საქართველოზე. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, როდესაც ასეთი ხალხი გვყავს, როგორიც მიხეილ ქუთათელაძეა, რომელსაც შეუძლია ღირსეულად და ამაყად წარადგინოს თავისი ქვეყანა ძალიან დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტის წინაშე, როდესაც ჩვენს ხალხს გაუჩნდა აბსოლუტურად ახალი მენტალიტეტი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ქართული სახელმწიფო შედგა.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კვლავაც გაგრძელდება დაუნდობელი ბრძოლა კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და ეს ბრძოლა ძალიან მწვავე იქნება. ამასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით, მას პარლამენტში დასამტკიცებლად შეაქვს კანონი, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ქართული კანონი იქნება.

– ჩვენ მივიღებთ ისეთ კანონს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა გაიხსენა ბერნარდ შოუს სიტყვები, რომელიც ორმაგ მიდგომასთან დაკავშირებით ამბობდა, რომ არსებობს ხალხი, ვინც სვამს კითხვას: „რატომ არის ეს ასე, როგორც არის“ და არსებობენ ადამიანები, რომლებიც ოცნებობენ იმაზე, თუ რა უნდა იყოს და რომლებიც ამბობენ, „რატომაც არა!“

– ჟანი კალანდაძე და ჩვენ ყველანი მივეკუთვნებით ადამიანების იმ კატეგორიას, რომლებიც ამბობდნენ: „რატომაც არა!“ – თქვა მიხეილ სააკაშვილმა და ამასთან დაკავშირებით ოპონენტების პასუხად რამდენიმე ფაქტი დაასახელა. კერძოდ, აჭარაში განხორციელებული რევოლუცია, რომელიც ბევრ ოპონენტს შეუძლებლად მიაჩნდა. არადა, ეს ნამდვილი ისტორიული მოვლენა სწორედ იმათი დამსახურებაა, რომელთაც სურდათ და სწამდათ – „რატომაც არა!“

– ოცნებას ჰგავდა ის, რაც საქართველომ ნახა ბათუმში წლევანდელ 5 მაისს, აჭარის რევოლუციის ერთი წლისთავის აღსანიშნავად მთელი ხალხი ქუჩებში იყო გამოსული. ოცნებას ჰგავდა ისიც, რომ ამ კვირის დამლევს ბათუმში, იმ დარბაზებში, სადაც მუდმივად საუბრობდნენ იმაზე, თუ როგორ დაქუცმაცებულიყო საქართველო, ოსი წარმომავლობის მოქალაქეებთან ერთად გაიმართება ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. და მე გაძლევთ პირობას, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, რომ ეს კონფლიქტი ძალიან მოკლე ვადებში მოგვარდება, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

თავის გამოსვლაში საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საერთო-ეროვნული გამოცდების სუფთად და საჯაროდ ჩატარებას, უფასო სამედიცინო დახმარების უაღრესად საჭირო და ნაყოფიერ მუშაობას, რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის რეალურად დაწყებას, ქართული პოლიციის წარმატებულ საქმიანობას, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას, საქართველოსთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. და ყველაფერი ეს ისევ და ისევ იმის შედეგია, რომ რწმენას „რატომაც არა!“ მუდამ ვერთგულობთ. ასეთია საქართველოს პრეზიდენტის ურყევი პოზიცია.

ახლა ჩვენი ფეხზე დადგომის და გაბრწყინების დროა. დღეს მინდა განსაკუთრებით ვთქვა: შეიძლება თუ არა ოდესმე საქართველო იყოს განვითარებული ევროპული ქვეყანა ჟანი კალანდაძესთან, თითოეულ თქვენგანთან, ქართული საზოგადოების, ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად? ჟანი კალანდაძისა და თქვენი სახელით მე ვამბობ: „რატომაც არა!“ აუცილებლად ვიქნებით! – განაცხადა დასასრულ მიხეილ სააკაშვილმა.

ოპოზიცია

# რატომ იყო რევოლუციამდელი მეფე პიარ-ჩლუნგი?





**საარჩევნო კოდექსში დაჩქარებული წესით შეტანა ცვლილებებისა, საკრებულოების არჩევნების ჩასატარებლად მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების ჩამოყალიბებას რომ ითვალისწინებს, ზვიად ძიძიგურის თქმით, ხელისუფლების მზაკვრული გეგმაა. კონსერვატორები აპროტესტებენ მმართველი პარტიის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, სავარაუდოდ, ამ ცვლილებების განსახილველად პარასკევს რიგგარეშე სხდომა გაიმართება. ოპოზიციის წარმომადგენლებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, როგორ გამოხატავენ პროტესტს. შესაძლოა, აქციაც მოაწყონ. უფრო მეტად მოსალოდნელია, განხილვაში არ მიიღონ მონაწილეობა. – არ გვინდა, საკუთარ თავზე ავიღოთ პასუხისმგებლობა, – აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.**

კანონპროექტი, რომლის მიღების დაჩქარებაც ასე სურს ხელისუფლებას, საშემოდგომო სესიაზე უნდა გაეტანათ. კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნეს, რომ კანონპროექტის განხილვას ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები აპირებდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ისინი სემინარის ჩატარებასაც გეგმავდნენ, ამ ყველაფრის შემდეგ კი კანონპროექტი სახეს იცვლიდა. ზვიად ძიძიგურის თქმით, ხელისუფლებას ბოლო დროინდელმა მოვლენებმა დააჩქარებინა გადაწყვეტილების მიღება:

– ხელისუფლება ეიფორიაშია ან პანიკურ შიშს განიცდის და ძალადობის უფრო მეტად განვითარებას ცდილობს. ის არა პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობის, არამედ მკლავის გადაწევის პრინციპს მიმართავს. კანონპროექტში, რომლის დაჩქარებული წესით მიღებაც უნდათ, წერია, რომ ყველაზე ლამაზი, ქერა და ცისფერთვალება არის ხელისუფლება და ყველაფერი მის ხელში უნდა იყოს. სააკაშვილის ფიქრები – ვიქნები და ვიქნები, – ასეთია კანონპროექტი.

ძიძიგურმა სააკაშვილის მმართველობა ლუკაშენკოს რეჟიმს შეადარა – ისეთი „დემოკრატია“, ჩვენ რომ გვაქვს, კარგა ხანია, ლუკაშენკომ დაამყარა ბელორუსიაში.

პრესკონფერენციაზე „კონსერვატიული პარტიის“ თავმჯდომარე კობა დავითაშვილი მიხეილ სააკაშვილის წინა დღის ბრიფინგსაც გამოეხმაურა. მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას, რაც ამდენი ხანია, აინტერესებთ კონსერვატორებს:

– რატომ მოატყუეთ მეანაბრეები და პენსიონერები?

– რატომაც არა.

– რატომ გააცურეთ მეწარმეები?

– რატომაც არა.

– რატომ ამყარებთ ერთპარტიულ დიქტატურას?

– რატომაც არა.

ერთი სიტყვით, ხელისუფლებას პატარა ბავშვივით გასდის რაც უნდა. კობა დავითაშვილმა ბოლო დროს კიდევ ერთი ჭეშმარიტება გაიგო:

– რატომ იყო რევოლუციამდელი მეფე პიარ-ჩლუნგი?

– იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა ტელევიზია...

**რუსუდან გახარია**

სირცხვილი

# გვირგვლიანები და კვანჭიანები ერთმანეთს დაერივნენ

**წალკაში მომხდარი ინციდენტისას დაჭრილი კვანჭიანები თბილისის №1 საავადმყოფოში იმყოფებიან და მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.**

ერთ-ერთ დაჭრილს ზაზა კვანჭიანს ოპერაცია უკვე გაუკეთდა. მას შემავალი ჭრილობის გამო შინაგანი სისხლდენა აღენიშნებოდა. მეორე დაჭრილს რაჟდენ კვანჭიანს კი დაზიანება გულმკერდისა და წელის არეში აქვს მიყენებული. რაჟდენ კვანჭიანი №1 საავადმყოფოს მედ-პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ წალკაში განუცხადეს, ინციდენტი ორ მონათესავე გვარს გვირგვლიანებსა და კვანჭიანებს შორის ყოფით ნიადაგზე მოხდა. გვარებს შორის დაპირისპირება თითქმის ექვსი თვეა გრძელდება.

საავადმყოფოში მოთავსებული დაჭრილები კომენტარისგან თავს იკავებენ.

წალკის რაიონის სოფელ კირიაკში ჩასახლებულ სვანებს შორის დიდი ხნის წინათ დაწყებული კონფლიქტი გუშინწინ სისხლიან ანგარიშსწორებაში გადაიზარდა.

გვირგვლიანებისა და კვანჭიანების ოჯახის წევრებს 4 ივლისს, შუადღით ჩხუბი მოუვიდათ. დაახლოებით 21 საათზე კი გვირგვლიანები კვანჭიანების სახლში მიცვივდნენ. ჩხუბის დროს გვირგვლიანებმა ძმები კვანჭიანები და ბიძა მძიმედ დაჭრეს. ერთ-ერთი ძმა კი ხანჯლით მიყენებული ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## დაირღვა თუ არა დუისში ადამიანის უფლებები?

**სახალხო დამცველის აპარატი პანკისის ხეობის სოფელ დუისში სამართალდამცველების მიერ 3 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციის კანონიერების საკითხს სწავლობს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახალხო დამცველის წარმომადგენელმა, მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსმა გიორგი ონიანმა განუცხადა, უწყება ამ ეტაპზე ყველა საჭირო ინფორმაციასა და ვიზუალურ მასალას აგროვებს, იმის გასარკვევად, დაფიქსირდა თუ არა სამართალდამცველების მხრიდან სპეცოპერაციის დროს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები.**

**ონიანმა საკითხის სრულად შესწავლამდე, ფაქტების წინასწარი შეფასებისგან თავი შეიკავა.**

## ციხეებს კვლავ კანონიერი ქურდები აკონტროლებენ

**სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგის ჯგუფის წევრები ბოლო დღეებში, სხვადასხვა საპყრობილეებში მომხდარი ინციდენტების გამო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვენ.**

**როგორც თბილისის №1 საპყრობილესთან გამართულ პრესკონფერენციაზე მონიტორინგის ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა თეა თუთბერიძემ განაცხადა, დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში, თბილისის №1 საპყრობილესა და**



**ქსნის კოლონიაში ორმა პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო, ხოლო ორი დღის წინ, ე.წ. კანონიერმა ქურდმა, მეტსახელად „წრიპამ“ სამეურნეო ნაწილში მყოფი ერთ-ერთი პატიმარი სასტიკად სცემა.**

**„გარდა ამისა, თბილისის №7 საპყრობილეში წინასწარ პატიმრობაში იმყოფება ამავე საპყრობილის უფროსის მოადგილე ვარდოსანიძე, რომელიც ომბუდსმენის წარმომადგენლის გიორგი ონიანისთვის დროებით თავისუფლების შეზღუდვის ბრალდებით არის დაპატიმრებული. ვარდოსანიძე უნდა იყოს გადაყვანილი, არა იქ, სადაც მუშაობდა, არამედ სულ სხვა დაწესებულებაში, რადგან ამ შემთხვევაში ვარდოსანიძე პრივილეგირებულ მდგომარეობაშია. ეს კი პატიმრების არათანაბარ სიტუაციაში ჩაყენების ფაქტად აღიქმება,“ – განაცხადა თუთბერიძემ.**

**მისივე თქმით, ამ და სხვა პრობლემების გამო ჩანს, რომ საპყრობილეებს და ციხეებს ე.წ. კანონიერი ქურდები აკონტროლებენ და მათ ციხის ადმინისტრაცია ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევს.**

**ინტერპრესნიუსი**

ხმა ქვეყნის გასაგონად!

# ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილი“

## დავაბრუნოთ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები სახელმწიფო საბაზო დაფინანსებაზე



**ქართული უნივერსიტეტის დაარსება 1918 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მასთან გაერთიანებული გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების მიერ ჩვეულებრივი უმაღლესი განათლების დაწესებულების შექმნას როდი ნიშნავდა მხოლოდ. ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო ძველი ქართული მეცნიერების აღდგენა და განახლება, მეცნიერებისა, რომელიც ასე წარმატებით ვითარდებოდა შუა საუკუნეების საქართველოში, ისეთ „აკადემიებში“, როგორიც იყო „გელათის აკადემია“, „იყალთოს აკადემია“ და სხვ.**

**შემთხვევითი არ არის თუნდაც ის, რომ ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის 26 იანვარს სწორედ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დაამთხვია. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ ახლად შექმნილი ქართული ეროვნული უნივერსიტეტი სწორედ ძველი ქართული აკადემიების მემკვიდრედ უნდა განეხილათ. სწორედ აქ, ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილ თბილისის ქართულ უნივერსიტეტში, მოხდა ძველი ქართული სამეცნიერო დარგების აღორძინება და ახალი სამეცნიერო დისციპლინების ჩამოყალიბება; სწორედ აქ შეიქმნა და შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში განვითარდა საქვეყნოდ ცნობილი ქართული სამეცნიერო სკოლები. ამ უმნიშვნელოვანესი ეროვნული ამოცანის განხორციელების გამოა სწორედ, რომ ივანე ჯავახიშვილი დიდი ილიას სულიერ მემკვიდრედ იქნა აღიარებული, რომელმაც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება განახორციელა და შექმნა ახალი ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო კერა.**

ადვილი გასაგებია, თუ რა ტრაგედია იქნებოდა ივანე ჯავახიშვილისთვის ოცდაათიან წლებში მისივე დაარსებული უნივერსიტეტიდან მაშინდელი ხელისუფლების მიერ მისი გაძევება. პირველად ეს მოხდა ჯერ კიდევ 1931 წლის 28 მაისს, როდესაც განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით იგი გათავისუფლდა უნივერსიტეტიდან.

საქმე ის არის, რომ ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანაში გაიშალა შეუპოვარი იდეოლოგიური კამპანია ინტელიგენციის წინააღმდეგ, რასაც მაშინ მრავალი გამოჩენილი ადამიანი შეეწირა. ეს იყო საშინელი დარტყმა ივანე ჯავახიშვილის ღირსებისა და თავმოყვარეობისათვის. ეს იყო მისთვის პიროვნული ტრაგედია და მორალური სიკვდილი, რომელმაც დააჩქარა მისი ფიზიკური აღსასრული 1940 წლის 18 ნოემბერს, როდესაც მას გულმა უმტყუნა და იგი მოულოდნელად წაიქცა მოხსენების კითხვის დროს; ივანე ჯავახიშვილი მაშინ სულ 64 წლისა იყო...

„მესამე სიკვდილი“ ივანე ჯავახიშვილმა განიცადა უკვე ჩვენს დღეებში, როდესაც მის მიერვე შექმნილ და მისივე სახელობის უნივერსიტეტში, რომელიც ყოველი ქართველისთვის უმაღლესი განათლების მთავარ და წმინდა კერად იქცა და იგი ქართველთა მთავარ ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლად აღიარეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტი უქმდება, უქმდება უმაღლესი განათლების კანონში არსებული მთელი რიგი ხარვეზებისა და ამ კანონის შესაბამისად უნივერსიტეტში ნაჩქარევად და გაუაზრებლად ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების გამო. ამავე მიზეზით ჩვენს მთავარ ეროვნულ უნივერსიტეტში უქმდება ისეთი ეროვნული კერები, როგორიცაა „რუსთაველის კაბინეტი“, „ვაჟა ფშაველას კაბინეტი“, „გალაკტიონის კაბინეტი“ და მრავალი სხვა ეროვნული სასწავლო-სამეცნიერო კერა და უნივერსიტეტის უამრავი თანამშრომელი პირდაპირ გაგებით ქუჩაში გაშვებული აღმოჩნდა. თუ ამ კანონის შესაბამისად ჩატარებული რეფორმისა და რეორგანიზაციის შედეგად უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უქმდება ამგვარი სამეცნიერო კაბინეტები და სასწავლო-კვლევითი უჯრედები, ეს ნიშნავს, რომ ასეთ „რეფორმირებას“ არაფერი აქვს საერთო ეროვნულ უნივერსიტეტში სასწავლო-კვლევითი სისტემის გააზრებულ რეორგანიზაციასა და მის საერთო ოპტიმიზაციასთან.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა, გამოსწორდეს არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები და შესწორებები უმაღლესი განათლების კანონში. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების (და, პირველ რიგში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) სახელმწიფო საბაზო დაფინანსებაზე დაბრუნება, როგორც ეს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და უმაღლესი განათლების დაწესებულებებშია. ჩვენ გვინდა გადავაქციოთ ჩვენი უმაღლესი განათლების დაწესებულებებია. ჭეშმარიტად ეროვნული განათლების კერებად, რომლებიც, იმავდროულად, უნდა იდგნენ უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ტრადიციულად ჩამოყალიბებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტრუქტურების ნაჩქარევი დაშლით, არამედ ამ სტრუქტურების გამოცდილი სპეციალისტების მიერ გატარებული გააზრებული და გონივრული რეფორმირების შედეგად. რეფორმირების სხვა გზა გამოიწვევს ჩვენში ტრადიციულად არსებული მაღალი მეცნიერული და საგანმანათლებლო დარგების ნგრევას და ჩვენი სამშობლოს მრავალთა შორის ერთ-ერთ პროვინციულ ქვეყნად გადაქცევას.

ეს ასეც მოხდება, თუ დროულად არ აღვუდექით წინ ჩვენი ტრადიციული სტრუქტურებისა და ღირებულებების განურჩეველ ლიკვიდაციას, ხშირად ყოვლად გაუმართლებელი და ნაჩქარევი სტრუქტურული ცვლილებების შემოღებას, რეფორმის „ზემოდან“ უაპელაციო გატარებას და ყველაფრის ერთი საზომის მიხედვით ნიველირებას.

თავის დროზე, ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში, პირადად ჩვენი დიდის ძალისხმევით მოხერხდა, რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისთვის მისი დამაარსებლის სახელი გვეწოდებინა. ნუ გავაკეთებთ ისე, რომ ეს სახელი აღარ შეესაბამებოდეს ჩვენს მიერვე რეფორმირებული მთავარი ეროვნული უნივერსიტეტის სპეციფიკასა და შინაარსს. წამყვან დასავლურ უნივერსიტეტებში ხომ ბოლონიის პროცესისდა მიუხედავად, შენარჩუნებულია თითოეული უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკა და ინდივიდუალობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ თვალსაზრისით ამერიკულ უნივერსიტეტებზე.

საქართველო არ უნდა ვაქციოთ მხოლოდ ეთნოგრაფიულად მიმზიდველ და საინტერესო ქვეყნად. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში უნდა ვაჩვენოთ მთელ მსოფლიოს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო და კულტურული პოტენციალი და მივაღწიოთ ჩვენს მიერ შექმნილ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას.

**თამაზ გამყრელიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.**

ინფორმაცია თემაში



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუმორჩილებლობის კომიტეტი ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას მოუწოდებს, დადგეს უნივერსიტეტის თანამშრომლების გვერდით, შეუერთდეს მათ აქციებს, რათა უნივერსიტეტიდან დიდი ეროვნული დაუმორჩილებლობა დაიწყოს.**

**პოლიტიკური პარტიების ლიდერები უნივერსიტეტში გუშინაც გამოჩნდნენ. კერძოდ, უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად უნივერსიტეტის ბაღში იმყოფებოდნენ ირაკლი ბათიაშვილი, თამარ ჩხეიძე, გიორგი კობახიძე და ადა მარშანია.**

**ახალი საპროტესტო ტალღა უნივერსიტეტში პრეზიდენტის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ აგორდა. ამ ბრძანებულების საფუძველზე უნივერსიტეტში გაუქმდა დიდი სამეცნიერო საბჭო, ბათილად გამოცხადდა უნივერსიტეტის წესდება და მართვის ერთპიროვნული სადავეები უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის რუსუდან ლორთქიფანიძის ხელში გადავიდა.**

**უნივერსიტეტის თანამშრომლების ნაწილს მიაჩნია, რომ პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე უნივერსიტეტი ლიკვიდირებულია და იგი აღარ არსებობს...**

დღის თემა

# ვინ ჰკითხავს „სუდიას“, დაარტყი პენალტი!..

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მთავარი თემა კონფორმიზმი და პირმოთნეობაა. ვინც თეიმურაზ ქორიძის წერილს წაიკითხავს, კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ეს საუკუნოვანი სენი თითქმის უკურნებელია.**

განსაკუთრებით საგანგაშოა, როცა საპარლამენტო უმრავლესობა პირმოთნეობს და ამომრჩევლის, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ „ხელმწიფეს“ უგორებს კოჭს.

რეალურ ანეგდოტს შეგახსენებთ: დაახლოებით 30-35 წლის წინათ, ქუთაისის „ტორპედოს“ საკუთარ მოედანზე თამაში არ გამოსდის და ნანატრ ქულას ჰკარგავს. თამაში უკვე მთავრდება. ტრიბუნებიდან უყვირიან თავდამსხმელს:

– ხაჟალია, დაარტყი პენალტი!

– არ მაძლევს „სუდია“...

– ვინ ჰკითხავს „სუდიას“, დადე ბურთი და დაარტყი...

ხარხარებს სტადიონი. ქუთათურებმა, ისე როგორც თითოეულმა გონიერმა ქართველმა, მშვენივრად უწყიან, რომ „სუდიას“ კი არა, ხალხს ვინ ჰკითხავს... „სუდია“ მთავარი მსაჯულია, ხალხი კი სანახაობით გართული ბრბო... ბრბოს ხსენებისთვის ნუ გამინაწყენდებით. არ გჯერათ? ცინცხალ მაგალითს ახლავე მოგახსენებთ:

ყველა დონეზე (ოფიციალური, კერძო, სატელევიზიო თუ საინფორმაციო სააგენტოების გამოკითხვით) თბილისელთა უმრავლესობამ ანუ გამოკითხულთა 75-80-მა პროცენტმა უპირატესობა მიანიჭა დედაქალაქის მერის პირდაპირ, ხალხის მიერ არჩევის მეთოდს, წესს, კანონპროექტს.

გასულ კვირას, გადაკეტილ რუსთაველზე საგანგებოდ გავისეირნე და საპარლამენტო უმრავლესობის ანტისახალხო გადაწყვეტილებაზე აზრის გამოთქმა რამდენიმე თბილისელს ვთხოვე. 20 კაციდან 18-მა ერთმნიშვნელოვნად მიპასუხა:

– ქალაქის მერი თბილისელებმა უნდა აირჩიონ. საკრებულოში ათობით უვიცი, „ძველი ბიჭი“, მექრთამე გაძვრება. განა დღევანდელი პარლამენტი და საკრებულო ამის სამწუხარო მაგალითი არ არის? თბილისელებმა, რამდენიმე კანდიდატიდან, თვითონვე უნდა აირჩიონ ღირსეული. წინასაარჩევნო კამპანია უნდა იყოს სახალხო, ღია, ყველასთვის ხელმისაწვდომი, ხოლო არჩევნები – ფარული, უკომპრომისო, ნაღდი.

**– ხალხის აზრი ხომ კარგად იცოდა პარლამენტმა, მთავრობამ, თვით პრეზიდენტმაც...**

– სწორედ ეს არის გულდასაწყვეტი. რევოლუციით, ხალხის სახელით მოსულმა ხელისუფლებამ, სულ რაღაც წელიწადნახევარში, აბუჩად აიგდო საკუთარი მხარდამჭერის, საკუთარი ამომრჩევლის ნება და ამით იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ჯერ კიდევ ზის.

**– თქვენი აზრით, ამ გადაწყვეტილებაში შიშის სინდრომი უფრო ჭარბობს თუ ამბიციური – „ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი“...**

– რა თქმა უნდა, ეს არის საპარლამენტო უმრავლესობის ამბიციურობის, გამოუცდელობის, უზნეო პოლიტიკის ბრალი. ახალგაზრდა საპარლამენტო უმრავლესობა ამით საკუთარ თავსაც და პრეზიდენტსაც დათვურ სამსახურს უწევს.

ო, ო, ო... საკუთარ თავსაც და პრეზიდენტსაც დათვურ სამსახურს უწევსო! – რა პირდაპირია ხალხი... აშკარაა, საპარლამენტო უმრავლესობამ ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა და მიიღო კანონი (ცვლილებები) დედაქალაქის მერის საკრებულოს მიერ არჩევის შესახებ, მაგრამ ეს გამარჯვება აშკარა დამარცხების ტოლფასია, რადგანაც ხალხი ანუ მოსახლეობის 75-80 პროცენტი არ შეიძლება შეცდეს. თბილისელთა უმრავლესობას ფართოდ აეხილა თვალები...

ეს არის მასობრივი კონფორმიზმის კლასიკური ნიმუში. საპარლამენტო უმრავლესობა, როგორც მთავარი კანონმდებელი, პირმოთნეობით, ლაქუცით, თბილი სავარძლების და დიდი ხელფას-პრივილეგიების შენარჩუნების იმედით, კოჭს უგორებს პრეზიდენტს... ამომრჩეველი კი საერთოდ ავიწყდება.

ცუდია, ძალიან ცუდია, როცა პარლამენტს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, კონფორმიზმი ჭამს...

კვირა საღამოს, ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე, ჩვენმა სათაყვანებელმა ქალბატონმა ლიანა ასათიანმა პირდაპირ განაცხადა: ალბათ, პრეზიდენტს უნდოდა ასე და პარლამენტმაც ამიტომ მიიღო მსგავსი გადაწყვეტილებაო...

– თქვენ, პირადად თქვენ, მერის არჩევის რომელი ფორმა მოგწონთ? – შეჰბედა განუმეორებელ „თავადის ქალ მაიას“ ჟურნალისტმა.

– მსახიობი ჩაფიქრდა, მერე კი სახე ერთბაშად გაუბრწყინდა და მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

– მეც ის მაძლევს ხელს, რაც პრეზიდენტს...

მოდი და, კიდევ ერთხელ ნუ აღიარებ, – ვინ ჰკითხავს ხალხს, ხელმწიფეა მთავარი.

თუმცაღა, ამ პოსტულატის მედროვეობა და მცდარობა არაერთხელ დაუმტკიცებია ისტორიას.

დრონი მეფობენ, არა მეფენი...

**სპარტაკ ქობულია**

რომან ქარქუსაშვილის ნახატი.



ახალი პოლიტიკური ლექსიკონი

# CONFORMIS

**ამ ლათინური ტერმინის ხსენება წესიერ ადამიანებში უხერხულობის გრძნობას იწვევს. უცნაური არაფერია, რადგან კონფორმიზმი რომელიმე პიროვნებისადმი, პოლიტიკური ძალისადმი შეგუებას, უკრიტიკო დამოკიდებულებას, საბოლოოდ, ამ ძალისადმი ნებაყოფლობით სამსახურს ნიშნავს.**

**უხერხულობის და სირცხვილის შეგრძნება კი ოდესღაც საკუთარი სინდისის წინააღმდეგ მოქმედებით არის გამოწვეული.**

**არსებობენ აქტიური და პასიური კონფორმისტები. აქტიურია, ვინც აშკარად იცავს და ემსახურება დროებით გაბატონებულ ანტისაზოგადოებრივ, ანტისახელმწიფოებრივ ან დანაშაულებრივ ძალას. პასიურია, ვინც ფორმალურად არ ემსახურება, მაგრამ თავისი უმოქმედობით ეხმარება და აქეზებს მას.**

## დიდი კონფორმისტი

1838 წლის 17 მაისს პარიზში, 84 წლისა გარდაიცვალა მსოფლიო დიპლომატიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ოდესღაც საეკლესიო მოღვაწე (ეპისკოპოსი), მრავალი წლის განმავლობაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბრწყინვალე ორატორი, თვით ნაპოლეონ ბონაპარტეს წარმატებათა სულისჩამდგმელი და იმპერატორის პირველი მრჩეველი, საოცრად გონებამახვილი და ენაკვიმატი ადამიანი. კაცი, ვისი შიშითაც თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ძრწოდა მაშინდელი განათლებული მსოფლიო.

იგი საკუთარ (და არა საფრანგეთის იმპერიის ან საფრანგეთის რესპუბლიკის) ნებას კარნახობდა მეფეებსა და იმპერატორებს, სულთნებს და ყაენებს; თავისივე ირონიული განცხადებით, სხვადასხვა დროს თოთხმეტი ხელისუფლების წინაშე დადო ერთგულების ფიცი და თოთხმეტჯერვე გატეხა იგი; ვინც ისტორიაში შევიდა, როგორც უდიდესი თვალთმაქცი, მექრთამე და ადამიანთა გონებისთვის მიუწვდომელი ინტრიგების დიდოსტატი.

მან ვატერლოომდე შვიდი წლით ადრე განჭვრიტა გენიალური ნაპოლეონის გარდაუვალი კრახი და საფრანგეთის მტრებთან საიდუმლო ძაფები გააბა. მას შესანიშნავად იცნობდნენ თანამედროვეები, მაგრამ მაინც საკუთარი ნებით ებმებოდნენ მის მახეში, საკუთარი ხელით უძღვნიდნენ მრავალმილიონიან ქრთამებს; არ ენდობოდნენ, მაგრამ მაინც ყველაფერს უჯერებდნენ.

ღარიბი არისტოკრატის ოჯახში დაბადებული და ფუფუნებაში გარდაცვლილი ამ კაცის სახელია შარლ მორის ტალეირან-პერიგორი.

ტალეირანი იყო უდიდესი კონფორმისტი კაცობრიობის ისტორიაში.

სხვათა შორის, ტალეირანს ეკუთვნის მთელ მსოფლიოში ანდაზად ქცეული გამოთქმა – ადამიანს ენა იმისთვის აქვს, რომ საკუთარი აზრები დამალოს;

პოლიტიკოსები, ყოველ შემთხვევაში, ის ადამიანები, საკუთარ თავს პოლიტიკოსებად რომ მიიჩნევენ, დღესაც აღმერთებენ ტალეირანს, ოცნებობენ ტალეირანობაზე.

## ფიურერის აჩრდილი

1994 წელს, ბერლინის ევროპული აკადემიის თანამშრომელმა, დოქტორმა მიხაელ ვებერმა კავკასიელ ჟურნალისტებთან საუბარში გულწრფელად და სინანულით განაცხადა, გერმანელ ერს ფაშიზმის ეპოქაში ჩადენილი დანაშაულებისთვის კაცობრიობის წინაშე კიდევ დიდხანს მოუწევს მობოდიშებაო.

დაუკვირდით: გერმანელმა დოქტორმა, გერმანიის და გერმანულის წრფელმა გულშემატკივარმა სწორედაც **გერმანელი ერის** დანაშაული ახსენა და არა „ფაშისტთა ხროვისა“.




დოქტორმა ვებერმა, ალბათ, გადააჭარბა, მაგრამ მის ნათქვამში არის მწარე სიმართლე – იმ „ხროვას“ ზურგს უმაგრებდნენ მრავალმილიონიანი ნაციონალ-სოციალისტური პარტია, ჰიტლერიუგენდი, სამეცნიერო წრეები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები, ქალთა ორგანიზაციები, უზარმაზარი არმია და არანაკლებ უზარმაზარი საიდუმლო სამსახურები.

ყველა ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ამზადებდნენ და სჩადიოდნენ მანამდე უცნობი მასშტაბების საზარელ დანაშაულს, ზოგადად, ადამიანობის წინააღმდეგ. ისინი, ყველა, იყვნენ გერმანელები და იყვნენ კონფორმისტები.

ბატონი ვებერი სწორედ ამას გულისხმობდა.

დღეს გერმანელი ერის დანაშაულზე არავინ საუბრობს და არავინ არავის არაფერს არ აყვედრის, მაგრამ გულისგულში ყველამ კარგად იცის, რომ გერმანული ფაშიზმის დანაშაული ისეთივე უკვდავია, როგორც თვით გერმანელი ერი.

იტალიელი თუ ბერძენი ფაშისტები, რუსი თუ ქართველი რევოლუციონერი ბოლშევიკები, რომლებმაც ლამის სისხლში ჩაახრჩვეს საკუთარი ქვეყნების მოსახლეობა, უმთავრესად, იყვნენ კონფორმისტები და არა აკვიატებული იდეით შეპყრობილი ადამიანები. ისინი აღმერთებდნენ ძალმომრეობას. ისინი ტკბებოდნენ საკუთარი ეფემერული უპირატესობით და მოხვეჭის შესაძლებლობით. ისინი უარს ამბობდნენ იმ უმთავრესზე, რითაც ადამიანი განსხვავდება ცხოველთა სამყაროსგან – სინდისზე.

ნაცისტებს, ბოლშევიკებს, მათ ყოფილ და ახლანდელ დიდ-პატარა ფიურერებს მთელ მსოფლიოში დღესაც უამრავი მაღმერთებელი ჰყავს, მათ შორის, საქართველოშიც.

ისინი კონფორმისტები არიან. მათ არა აქვთ სინდისი და არა აქვთ გონება (განსჯის უნარი), რადგან მათი სინდისი არის ფიურერი და მათ ნაცვლად ფიქრობს ფიურერი.

გერმანელმა ერმა საკუთარ თავში დიდი ხნის წინათ იპოვა ძალა კონფორმიზმის დასამარცხებლად. პატიოსანი დოქტორი ვებერის აღსარება ამის ნათელი დასტურია. სამწუხაროდ, დიდი გერმანელი ერი ჩვენ მაგალითად და ნუგეშად არ გამოგვადგება. დიდი ერი იმიტომაც არის დიდი, რომ მას, თუნდაც უზარმაზარი მსხვერპლის ფასად, დიდი შეცდომების გამოსწორება შეუძლია. ჩვენნაირ პატარა ერს კი (მოსახლეობას ვგულისხმობ), მართალია, დიდი შეცდომების ჩადენა შეუძლია, მაგრამ მის გამოსასწორებლად იქნებ ძალა და რესურსები აღარასოდეს ეყოს.

XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს ხალხის წინაშე ამგვარი საფრთხე მთელი სიგრძე-სიგანით დგას.

მასობრივი კონფორმიზმის სათავე უნებისყოფობასთან, ფიურერიზმთან ერთად სოციალური უთანასწორობა და სიდუხჭირეც უნდა იყოს. ჩვენ, დღევანდელი საქართველოს მოსახლეობას, ყველაფერი ეს მოჭარბებულად გვაქვს: უსამართლობა, ეკონომიკური კრახი, უიმედობა და ფიურერიზმი. თუმცა, ალბათ, ტრადიციული ქართული ტერმინი აჯობებს – ბელადომანია.

მაღალი სახელისუფლებო კაბინეტებიდან ამის დანახვა, ეტყობა, ძალიან ჭირს. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ჭირს იმის განჭვრეტა, რომ შვილების თაობას საკუთარი ხალხის წინაშე უთუოდ მოუწევს მობოდიშება მამების დანაშაულის გამო. მობოდიშება მოგვიწევს სეირის მაყურებელ უმრავლესობასაც, ვინც მდუმარე თანხმობით საკუთარი ხელით ვკვებავთ დაუნდობელ და სისხლისმსმელ ურჩხულს – კონფორმიზმს.

მაგრამ მანამდე ჯოჯოხეთის ცხრავე გარსის გავლა მოგვიწევს და ჩვენი შთამომავლობიდან კაცობრიობის წინაშე მომბოდიშებელი იქნებ ბევრიც ველარავინ წარსდგეს – კონფორმიზმი ვარდის კი არა, სისხლის სუნზეა დაგეშილი.

## მსხვერპლი

ზონებით ვიცი, რომ ომებისა და რევოლუციების ფონზე კონფორმისტთა დასტების გამოჩენა კანონზომიერი მოვლენაა, მაგრამ ძალიან მოკლე ხანში ადამიანების სრული მეტამორფოზა მაინც მაოცებს.

მოდი და, ნუ გაოცდები ბევრი გუშინდელი დემოკრატის სახეცვლილებით – ეს ადამიანები დღეს იბრძვიან გუშინ საჯაროდ დეკლარირებული საკუთარი იდეალების წინააღმდეგ!

გიგა ბოკერია ნიჭიერი და განათლებული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა და ახდენს. ასეთების გადაბირება და მტკიცე სახელისუფლებო ჩარჩოებში მოქცევა შეუძლებლად მეჩვენებოდა. სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პირადად გიგა ბოკერია, ყოვლისშემძლე კონფორმიზმის ერთ-ერთი ყველაზე დასანანი მსხვერპლია. იგი უკვე ძალიან ხშირად კისრულობს უბრალო ჭეშმარიტებების თავდაყირა წარმოდგენას. იძულებულია, საკუთარი სიმართლე სხვისი შეცდომებით ან, თუნდაც, ოდესღაც ჩადენილი დანაშაულით გაამართლოს; იძულებულია, ითვალთმაქცოს, უადგილოდ იმახვილსიტყვაოს, იცრუოს კიდეც, რომ როგორმე გუშინდელი თანამოაზრეების თვალში ისევ იმ ომახიან, დემოკრატიზმის პრინციპებისთვის თავდადებულ „თავისუფლების ინსტიტუტელ“ კარგ ბიჭად დარჩეს.

არ გამოსდის. „გაპოლიტიკოსებული“ გუშინდელი კარგი ბიჭი დღეს საკუთარს კი არა, პრეზიდენტის აზრს „ახმოვანებს“ (ახალი ქართული საპარლამენტო ტერმინია) პრეზიდენტისვე არგუმენტაციით, თანაც, სიტყვასიტყვით იმეორებს მის ნათქვამს.

დემოკრატიის პრინციპებისთვის მებრძოლი გიგა ბოკერია, წინა პარლამენტის მთავარ იდეოლოგს, ვიტალი ხაზარაძეს რომ დაემსგავსა, ძალიან საწყენი, მაგრამ სავსებით კანონზომიერია, იმ განსხვავებით, რომ ბატონი ხაზარაძე არც აგრესიული ყოფილა, არც „დაუკრეფავში“ გადასვლა სჩვეოდა.

საკუთარი იდეალები თბილისის მერმა ჭიაბერაშვილმაც სასწრაფოდ დათმო, მაგრამ ამ ფიგურისადმი რაიმე პრეტენზიები, ალბათ, არ უნდა გვქონდეს. იგი, სხვა მრავალის მსგავსად, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თანამდებობაზე შემთხვევითი და დროებითი კაცია. ისევე, როგორც მინისტრების, გუბერნატორების, გამგებლების, დეპუტატების უმრავლესობა. თუმცა, მათი თანამდებობებზე ყოფნა ძალიან საშიშია, რადგან საკუთარი თავი პრეზიდენტს უბოძეს, ხოლო დამოუკიდებლად აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების სურვილი და შესაძლებლობა მაინცდამაინც არც ჰქონიათ.

იხ. მე-4 გვ.

საერთო ეროვნული გამოცდების წინ

# აბიტურიენტები ბუდაპეშტის ქუჩიდან

**ახლოვდება ერთიანი ეროვნული გამოცდები. ღელავს ყველა, აბიტურიენტი, მშობელი... როგორ ემზადებიან ახალგაზრდები ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის? გავესაუბრე სამ აბიტურიენტს.**

გურამ ფიფიამ, გიგი ქარსელაძემ და გიორგი ვარდოსანიძემ იციან წლევანდელი გამოცდების მოთხოვნები, მათი სურვილია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ, – საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე სურთ შესვლა, სურვილის ასრულება კი გამოცდების წარმატებით ჩაბარების, ტესტებზე პასუხის გაცემის შემდეგ სექტემბერში გაირკვევა. მათ იციან, რომ 11 ივლისს, დილის 9 საათზე აგრარულ უნივერსიტეტში უნდა იყვნენ. პირველად ქართულს აბარებენ, შემდეგ დღეებში ინგლისურსა და უნარ-ჩვევებს...

სამივე აბიტურიენტს მასალის ათვისებისთვის, აზროვნების აქტიურობისთვის საუკეთესო დროდ დილა მიაჩნია. შესვენება 10-15 წუთი აქვთ. საუზმე, სადილი და... კვლავ მეცადინეობა... იციან, რომ ტექსტის მხოლოდ დაზეპირებით შორს ვერ წავლენ, ტესტებს პასუხი გააზრებულად უნდა გასცენ... პირველად იმ მასალებს გაიმეორებენ, რომელიც ძალიან კარგად აქვთ ათვისებული; შემდეგ იმ თავებს შეისწავლიან, რომელიც პრობლემად მიაჩნიათ, მას თავიდან ბოლომდე რამდენჯერმე გადაიკითხავენ, ისე რომ, ერთ აბზაცსაც არ გამოტოვებენ. შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას ნაკლებად რომ იციან, ისეთ საკითხებს მიაქცევენ, პასუხებს რამდენჯერმე კარგად გაიაზრებენ...

სიახლეს თავისი მოთხოვნები აქვს: ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელიც ტესტურ გამოკითხვას ეყრდნობა, აბიტურიენტისგან დიდ ცოდნას ითხოვს. ამისთვის აბიტურიენტები გიორგი, გიგი და გურამი ფეხდაფეხ მიჰყვებიან ამ მოთხოვნებს...

სიახლის შემოტანა ყოველთვის გარკვეულ პრობლემებს აწყდება, მით უმეტეს, როცა საკითხი განათლებას ეხება. აბიტურიენტებმა იციან, რომ მათი ანონიმურობა დაცულია, ცოდნა არ დაეკარგებათ...

ერთხელაც გავიმეორებთ: **რეგისტრაცია უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველმა 32000 ახალგაზრდამ გაიარა. ჩაირიცხება 17000... „ცხარე ბრძოლა“ 11 ივლისს დაიწყება, ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები სექტემბერში იქნება ცნობილი.**

**ნათელა ფაილოძე**

ფაქტი

# სიმწიფის ატესტატები გადაეცათ

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო წელი დამთავრდა.**

გუშინ თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მე-$11^1$ კლასის 16 მოსწავლეს საზეიმოდ გადაეცა სიმწიფის ატესტატები. ეს სურათიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ჯავარ ლომაძემ სწორედ მაშინ გადაიღო: სკოლის დირექტორი პაატა ჩიქოვანი სიმწიფის ატესტატს თემურ გიორგობიანს გადასცემს. თემურს და მის თანაკლასელებს მუდამ ემახსოვრებათ ეს დღე...



ინფორმაცია

## „კონსერვატორები“ რეაგირებას მოითხოვენ

**„საქართველოს კონსერვატიული პარტია“ რუსეთის ალუმინის მაგნატის ოლეგ დერიპასკას გადაწყვეტილებას აპროტესტებს.**

**„კონსერვატორები“ რუსეთის ალუმინის მაგნატის ოლეგ დერიპასკას იმ გადაწყვეტილებამ გააღიზიანა, რომელიც გაგრასთან „ხოლოდნაია რეჩკაში“ სტალინის აგარაკის შესყიდვასთანაა დაკავშირებული.**

**„კონსერვატორები“ აღნიშნულ ფაქტს რუსი ბიზნესმენის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნევენ.**

**როგორც ინტერპრესნიუსს „კონსერვატიული პარტიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, პარტია საქართველოს ხელისუფლებისგან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის რეაგირებას მოითხოვს.**

## ნიკა გილაურმა სომხეთში ვიზიტი გადადო



**საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული ფორსმაჟორის გამო ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა სომხეთში ვიზიტი გადადო.**

**გილაური ერევანში სომხეთთან დამაკავშირებელი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით უნდა ჩასულიყო. გადამცემი ხაზის მშენებლობის თანხებს, სავარაუდოდ, სრულად სახელმწიფო ბიუჯეტი დაფარავს. წინასწარი მონაცემებით, ახალი, გარდაბანი-რაზდანის 330-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის მშენებლობა 10-12 მილიონი დოლარი დაჯდება.**

**ახალი ხაზის მშენებლობა, სავარაუდოდ, ერთ თვეში დაიწყება და 2006 წლის დასაწყისში დასრულდება. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება სომხეთიდან 400 მეგავატი სიმძლავრის იმპორტი, რაც ნიშნავს, რომ ახალ გადამცემ ხაზს „კავკასიონის“ ჩანაცვლება შეეძლება.**

**„ნინოწმინდის“, „ალავერდის“ და „ლალვარის“ გადამცემი ხაზების შემდეგ, ახალი გადამცემი ხაზი იქნება მეოთხე, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემას სომხეთთან დააკავშირებს.**

## ცხინვალის ხელისუფლებაში რუსები მომრავლდნენ

**სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტმა გუშინ პრემიერ-მინისტრის პოსტზე რუსეთის მოქალაქე იური მოროზოვი დანიშნა.**

**ოსმა პარლამენტარებმა იური მოროზოვი პრემიერ-მინისტრად დე-ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის წარდგინებით, ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.**

**იური მოროზოვი 1949 წელს ბაშკირეთის ქალაქ სტერლიტამაკში დაიბადა. დაამთავრა ქალაქ უფის ნავთობის ინსტიტუტი. ცხინვალის რეგიონის პრემიერ-მინისტრად დანიშვნამდე კურსკის საწვავის კომპანიის კომერციულ დირექტორად მუშაობდა.**

**მოროზოვის დანიშვნამდე სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობას პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ კოკოითი ასრულებდა, რომელიც მანამდე ქალაქ ცხინვალის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა.**

**მოროზოვი სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში რუსეთიდან ჩამოყვანილი ერთადერთი კადრი არ არის. დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს უკვე მე-3 წელია რუსი გენერალი ანატოლი ბარანკევიჩი ხელმძღვანელობს. რაც შეეხება უშიშროების სამინისტროს, ამ უწყებაში ასევე მრავლად მუშაობენ თავის დროზე რუსეთის უშიშროების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მოღვაწე ოფიცრები.**

## ტანკისტების სწავლება დასრულდა

**ორფოლოს პოლიგონზე გორისა და ქუთაისის ჯავშანსატანკო ბატალიონების ტაქტიკური სწავლება დასრულდა.**

**სწავლებაში დაახლოებით 150-მდე ტანკი და ჯავშანტექნიკა მონაწილეობდა.**

**თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის შეფასებით, რომელიც უშუალოდ ადევნებდა თვალს ორფოლოში მიმდინარე წვრთნებს, ქართველმა ტანკისტებმა პროფესიონალიზმი გამოავლინეს და ყველა ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი.**



**სწავლების საზეიმო დახურვა 18 ივლისს გაიმართება, რომელსაც სავარაუდოდ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრება.**

ინტერპრესნიუსი

ახალი ტექნოლოგიები

# სადაც შენი ფული მისწვდა, კლდეც იქ აყვავდაო

**ახლა ფაქტობრივად ნემსით დაწყებული და „აქლემით“ დამთავრებული, ყველაფერი სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს. ყველაფრის გამსაღებელ ქვეყნად გადავიქეცით. ვყიდულობთ და ვყიდით, მოგება კი კაპიკებია, ამიტომაც სერიოზულ ეკონომიკურ წინსვლაზე ჯერჯერობით ფიქრიც ზედმეტია. თუმცა, ჩვენი სპეციალისტები, გამომგონებლები მაინც არ ყრიან ფარ-ხმალს და ახალი იდეების ტექნოლოგიების შექმნაზე ზრუნავენ.**

ეს კარგია, ფართო გამოყენების საშემდუღებლო ფლუსი რატომ უნდა შემოგვქონდეს უკრაინიდან ან რუსეთიდან, მაშინ როდესაც თურმე მისი დამზადება საქართველოშიც შეიძლება.

საქართველოს შემდუღებელთა ასოციაციის პრეზიდენტის სოზარ იაკობაშვილისა და სს „გრაალი-92“-ის გენერალური დირექტორის ზურაბ ლოლუას მიერ დამუშავებულია ფაქტობრივად იგივე შემადგენლობის ფლუსი, რომელიც ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან შემოაქვთ. და იცით, ეს რა ჯდება? იქ, ადგილზე ერთი ტონის სარეალიზაციო ღირებულება 1600 დოლარია, ამას ემატება სატრანსპორტო და საბაჟო ხარჯები, რაც კიდევ უფრო აძვირებს მის საბოლოო ღირებულებას.

არადა, ჩვენებური საშემდუღებლო ფლუსების დასამზადებლად ავტორები საწარმოო ნარჩენებს გამოიყენებენ. მაგალითად, ზესტაფონის „ფეროს“ სილიკომანგანუმის წარმოების გადასაყრელი წიდების, სალიეთის მარმარილოს წარმოების ნარჩენების და საჩხერის სილიკატების გარკვეული პროპორციით შემდგარი კაზმის მაღალტემპერატურული დამუშავებით მიიღება თურმე ნახევარპროდუქტი საშემდუღებლო ფლუსების წარმოებისათვის, რომელიც წარმოადგენს შეცხობილ ფხვიერ კერამიკულ მასალას. მისი ღირებულება საგრძნობლად დაბალია, ვიდრე მანგანუმის გამოყენებით მიღებული ფლუსისა. უკვე დამზადდა 500 კგ ფლუსი, რომელიც საშემდუღებლო თვისებებით სტანდარტული ან 348 მარკის ფლუსის იდენტურია. ამჟამად საჭიროა კაზმის კორექტირება, წარმოების ათვისება და დანერგვა.



სოზარ იაკობაშვილი და ზურაბ ლოლუა ამაზე როდი შეჩერდნენ და ისევ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე საერთო დანიშნულების საშემდუღებლო 46 ტიპის ელექტროდი შექმნეს. მასში ძირითადად გამოიყენება საჩხერის საბადოს სილა, ჭიათურისა და სალიეთის კირქვისა და მარმარილოს ნარჩენები, ჭიათურის მანგანუმის მადანი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სილიკომანგანუმი, საქართველოს ფერლიტები, სურამის ტალკი და სხვა, რაც საგრძნობლად ამცირებს მის ღირებულებას. ამჟამად მრ-3, ანო-4 ტიპის ელექტროდები ძირითადად უკრაინიდან, რუსეთიდან და თურქეთიდან შემოაქვთ. მათ სარეალიზაციო ფასს ემატება ტრანსპორტირებისა და საბაჟო გადასახადის ხარჯები, რაც აძვირებს და დეფიციტურს ხდის. შემოტანილი 1 ტონა ელექტროდების საბაზრო ღირებულება 1800-2000 ლარის ფარგლებში მერყეობს. წინასწარი გაანგარიშებით მათ მიერ შემუშავებული და დამზადებული 1 ტონა ელექტროდის სარეალიზაციო ღირებულება დაახლოებით 1000-1200 ლარს არ აღემატება.

საცდელი პარტია 100 კილოგრამის ოდენობით უკრაინაში, ე. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტში დაამზადეს, რომელიც საქართველოში სს „გრაალი-92“ ლითონკონსტრუქციების დამამზადებელ ქარხანაში გამოსცადეს. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ნაწარმი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. ამჟამად მიმდინარეობს მათი შემადგენლობის კორექტირება და დახვეწა, რისთვისაც საჭიროა დაფინანსება, მაგრამ თანხას ვინ გაიღებს? ნაკლებად სავარაუდოა, ფულიანი ჩვენი ბიზნესმენები ამით დაინტერესდნენ, თუმცა შესაძლებელია ვინმე ჭკვიანი გამოჩნდეს და გამომგონებელთა ეს ნააზრევი აიტაცოს, ადგილობრივი წარმოება დააფინანსოს და ამით ქვეყანასაც არგოს და საკუთარ თავსაც.

**ლალი ქინქლაძე**

ფიქრები ხუდონჰესზე

# ავაშენოთ თუ არ ავაშენოთ?

## დიდი პასუხისმგებლობა გვმართებს

**შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო „საქართველოს რესპუბლიკის“ 7 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „გვჯერა, რომ ხუდონჰესი გახდება სრულიად საქართველოს სახალხო მშენებლობა“, თუნდაც იმიტომ, რომ მისი დაბეჭდვის დღეებში რიგი სოფლებისა და რაიონების არაერთი მოსახლე დამანგრეველი წყალდიდობისა და ღვარცოფის შედეგად უსახლკაროდ დარჩა. ეს კი სწორედ ბუნებაზე ადამიანის ძალმომრეობის შედეგია.**

**ამასთან, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რომ სტატიის ავტორმა, ენციკლოპედიური განათლებისა და კრისტალური ზნეობის მამულიშვილმა, ბატონმა რაფიელ გელანტიამ, რომლის მიმართ დიდი პატივისცემით ვარ გამსჭვალული, ისეთ სერიოზულ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორიცაა ხუდონჰესის მშენებლობა, უდიდესი პასუხისმგებლობა აიღო. მან საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩათვალა ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრება, რომ ქვეყანაში სტაბილურობისა და სიმშვიდის პირობებში შესაძლებელია ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელება. თუმცა თავისთავად იგულისხმებოდა, რომ საბოლოოდ ხელისუფლების ნება ამ საკითხში დაეყრდნობა პრობლემის ღრმად შესწავლას, პროფესიონალებისა და საზოგადოებრივი აზრის შეჯერებას, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას საერთაშორისო სპეციალისტების მონაწილეობით და ა. შ.**

ჩვენი აზრით, მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო მომავლის წინაშე. წერილის შესავალშივე იმის განცხადება, რომ „სათანადო სამსახურები უკვე შეუდგნენ სამზადისს“, ქმნის ამ ურთულესი პრობლემის რამდენადმე გამარტივებისა და გაიოლების შთაბეჭდილებას, რამაც შესაძლოა, განაპირობოს მისი ნაჩქარევი, არასწორი გადაწყვეტა. ასევე იგნორირებულია ის გარემოება, რომ ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრი არაერთგვაროვანია.

ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ხუდონჰესის აშენების მომხრეთა აბსოლუტურ უმრავლესობას ამოძრავებს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეო სურვილი. ამასთან მათ მიერ ეკოლოგიურად მართებული პოზიციის დაკავებას გარკვეულად აბრკოლებს ანტიეკოლოგიურად აზროვნების სტერეოტიპი, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ საბჭოეთში გავრცელებული ლოზუნგიდან: „ჩვენ არ უნდა დაველოდოთ ბუნებისგან მოწყალებას, არამედ ძალით უნდა გამოვგლიჯოთ იგი“.

ჩვენთვის სავსებით გასაგებია, რომ, როცა ქვეყანაში სერიოზული ენერგეტიკული პრობლემებია, ამასთან ხუდონჰესზე საბჭოთა კავშირის დროს შესრულებულია 290 მილიონამდე დოლარის სამუშაოები, ცდუნება დიდია და ამ მშენებლობას მომხრეებიც ჰყავს, როგორც სპეციალისტები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები.

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

## გამარჯვებულები დააჯილდოვეს

სტუდენტთა და მოსწავლეთა 2005 წლის სახელმწიფო სამართლებრივი ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ორგანიზებული ოლიმპიადა „ადამიანი და კონსტიტუცია“ ამერიკის იურისტთა ასოციაციამ და გაეროს განვითარების ფონდმა დააფინანსეს. ოლიმპიადის ორგანიზატორებმა დღეს 10 ნომინაციაში გამარჯვებულები დააჯილდოვეს.



ნომინაციაში – ოლიმპიადის გამორჩეული მონაწილე – დიდი ლიახვის ხეობის სკოლათა ნაკრები გუნდის წევრმა გიორგი ღონღაძემ გაიმარჯვა. ამავე ნომინაციაში მეორე ადგილი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სკოლის მოსწავლემ ქეთევან ალხანიშვილმა დაიკავა.

საუკეთესო მოსამართლედ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი სულხან სულაძე დასახელდა. საუკეთესო სხდომის თავმჯდომარედ კი ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი ირაკლი ჯაჯავაძე.

სხვა ნომინაციებში გამარჯვებულებთან ერთად პირველ ადგილზე გასული სტუდენტური გუნდი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი „გონი“ დააჯილდოვეს. მეორე ადგილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა „ვერდიქტმა“ დაიკავა.

## საზღვარზე რუსეთის მოქალაქე დააკავეს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო დარღვევის ბრალდებით, ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე რუსეთის მოქალაქე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრეს-სამსახურში განუცხადეს, კანონდამრღვევი მაშინ აიყვანეს, როდესაც იგი საქართველოდან აზერბაიჯანში გასვლას ცდილობდა.

ინტერპრესნიუსი

ახალი პოლიტიკური ლექსიკონი

# CONFORMIS

(მესამე გვერდიდან)

ისინი შინაგანად ყოველთვის იყვნენ კონფორმისტები. თანამდებობებზე მოსვლით, უბრალოდ, „გააფორმეს“ საკუთარი მდგომარეობა.

თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის ტიპის ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ არიან კონფორმისტები და იმიტომ არიან საშიში საზოგადოებისთვის, რომ პირველი მინიშნებისთანავე დათმეს საკუთარი ღირსება – ერთადერთი, რითაც საზოგადოების წინაშე თავის მოწონება შეეძლოთ.

მშობლიური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი ჩემი უდიდესი და გულწრფელი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ კონფორმისტია ყველა ის პროფესორ-მასწავლებელი, ვინც ხმა მისცა რექტორის პოსტზე პრეზიდენტის პროტეჟე ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძის არჩევას. ამით მათ დაამტკიცეს, რომ, თურმე, უსაფუძვლო არ ყოფილა ბინძური ჭორები ამ ყველაზე საპატივსაცემო უმაღლეს სასწავლებელში არსებული მაქინაციების შესახებ. სხვანაირად „დიდი საბჭოს“ წევრთა უმრავლესობის საქციელის ახსნა ძალიან გაძნელდება, რადგან მაღალინტელექტუალური ადამიანები, როგორც წესი, საკუთარ პრინციპებს ასე იოლად ვერ თმობენ. მათი იძულება მხოლოდ ერთი ხერხით შეიძლება – დისკრედიტაციის მუქარით.

ბოდიშს ვიხდი ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძის წინაშე. მე არ ვიცნობ მის მოღვაწეობას. სავსებით შესაძლებელია, იგი მართლაც, საუკეთესო რექტორი იყოს, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის – დედა-უნივერსიტეტის „დიდი საბჭოს“ დიდმა უმრავლესობამ საკუთარ პრინციპებზე უარის თქმით საკუთარ თავს მჭევრმეტყველური განაჩენი გამოუტანა – შემოგვხედეთ, ჩვენ კონფორმისტები ვართ!

ასევე მოიქცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 26-დან 25 სუბიექტი. მათ შორის, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, თვით ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და პირადად ბატონი მურთაზ ხურცილავა – მსოფლიო სახელის მქონე ფეხბურთელი.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ახალგაზრდა ახალკაცი, იქნებ, მართლაც, ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა იყოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე. იქნებ სწორედ ახალკაცია ის ადამიანი, ვინც ისუ ნავინის მსგავსად აღთქმულ მიწამდე მიიყვანს დაბეჩავებულ ქართულ ფეხბურთს (მოსეს როლი, ალბათ, უფროსმა ახალკაცმა შეასრულა).

ფეხბურთის მესვეურები კონფორმისტები იმიტომ ბრძანდებიან, რომ მათ თითქმის ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქვეყნის პრეზიდენტის, ანუ იმ ადამიანის წინადადებას, ვისაც, საერთოდ, არა აქვს ფეხბურთის ფედერაციის შინაურ საქმეებში (ისევე, როგორც უნივერსიტეტისა) ჩარევის უფლება.

თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ არის კატასტროფა. კატასტროფა იქნება, როცა კონფორმიზმი მართლმსაჯულებას შეჭამს.

ეს პროცესი უკვე დაიწყო და იგი სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის ნიღბით მიმდინარეობს.

ბოლო პერიოდში სასამართლო რომ ფარსად იქცა, ამას არავინ უარყოფს. უფრო სწორად, ვერავინ ვერ უარყოფს. ამიტომ, ამ თემაზე შეკითხვებს „კომპეტენტური“ ნომენკლატურა ქედმაღლური ღიმილით იგერიებს. არ ვლაპარაკობ, ვთქვათ, ტარიელ ზამბახიძისნაირი მოსამართლეების კონფორმისტობაზე. უარესი უნდა ვთქვა.

უკვე გადადგა უზენაესი სასამართლოს, თუ არ ვცდები, რვა მოსამართლე. საქმე ის არის, რომ პარლამენტმა მიიღო დროებითი კანონი (მოქმედებს 2005 წლის 31 დეკემბრამდე), რომლის ძალითაც, უზენაესი სასამართლოს იმ მოსამართლეს, რომელიც ნებაყოფლობით გადადგება თანამდებობიდან, პენსიად დაენიშნება დღევანდელი ხელფასი სრული ოდენობით, ანუ 1600 ლარი!

ჯერჯერობით გამოჩნდა რვა მოსამართლე, ვინც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი პირისგან წამოსული ულტიმატუმი მიიღო. არ გეგონოთ, რომ მათ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. არა, ისინი ბრძანდებიან უპრინციპო ადამიანები, რომლებიც ყოველთვიური 1600 გარანტირებული ლარისა და კიდევ საკუთარ სინდისთან ადრე დადებული გარიგების გამო, ქვეყნის სამსახურს თავი აარიდეს. ამ ადამიანებმა – კონფორმისტმა მოსამართლეებმა – საბოლოოდ და საკუთარი ხელით დაასამარეს ოცნება ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაზე.

ჩვენს შთამომავლობას ოდესმე ამ მოსამართლეების ტრაგიკული უპრინციპობის გამოც მოუწევს ბოდიშის მოხდა.

მა „რევოლუციურმა“ ხელისუფლებამ თანამდებობებზე (მინისტრები და მათი მოადგილეები, დეპარტამენტების და სამმართველოების უფროსები, მერები, გამგებლები და მათი მოადგილეები და ა.შ.) რევოლუციის წინაშე გამოგონილი დამსახურების, ახლო და შორეული ნაცნობ-მეგობრობის, ვიღაცის ჯინაზე ან, საერთოდ, გაუგებარი მიზეზის გამო, ახალგაზრდობის დანიშვნით მინიმუმ ორი ძალიან ცუდი საქმე გააკეთა: – გარყვნა, კონფორმისტებად აქცია უამრავი ახალ-




მართალია, ქართულ კონფორმიზმს ახასიათებს ყველა ის თვისება, რაც, ზოგადად, დამახასიათებელია კონფორმიზმისთვის, მაგრამ არსებობს ერთი გამორჩეული ნიშანი – ქართული კონფორმიზმის უკიდურესი სიახალგაზრდავე. ეს იქნებ კარგიც იყოს – ახალგაზრდობას ბუნებრივად ეძლევა დრო ცხოვრებაზე დასაფიქრებლად და შეცდომების გამოსასწორებლად, საკუთარი კონფორმისტული მიდრეკილებების დასანახად მაინც.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათიც: სამიოდე წლის შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში, თვალცრემლიანი მამები საჯაროდ იხდიან ბოდიშს საკუთარი აწ უკვე ყოფილი თანამდებობის პირი შვილების მიერ ჩადენილი შეცდომებისა თუ დანაშაულების გამო!

იმის თქმა მინდა, რომ ქართულგაზრდა (თან უკან დასახევი გზაც არ დაუტოვა) და მეორე – მამებისა და შვილების თაობები ხელოვნურად და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირა ერთმანეთს.

ბევრს მოუწევს მონანიება.

რა თქმა უნდა, საუბარია სიმბოლურ მონანიებაზე, თორემ აკაკისეული ჰაჯი უსუბის ხვედრისთვის თვით თეა თუთბერიძის გამზრდელიც კი არ მემეტება...

### უძველესი და მარად ახალი

კონფორმიზმი თვით კაცობრიობასავით ძველია და ძალიან ჰგავს ცხოველების ცხოველებზე სანადიროდ დაგეშვის ხელოვნებას. ძნელი სათქმელია, საიდან მოდიან და ვინ იყვნენ პირველი კონფორმისტები.

ალბათ, ყურადღებას მიაქცევდით, კონფორმიზმზე და კონფორმისტებზე საუბრისას ერთხელაც არ მიხსენებია პრეზიდენტი სააკაშვილი. პრეზიდენტი სააკაშვილი თვითონ კი არ არის კონფორმისტი, არამედ მას აუცილებლად სჭირდება კონფორმისტები ძალაუფლების შესანარჩუნებლად. იგი, ბუნებრივია, ეძებს და ძალიან იოლად პოულობს ენთუზიასტ-კონფორმისტთა ლეგიონებს. პრეზიდენტმა შესანიშნავად იცის ხალხის ბრბოდ გადაქცევის, ბრბოს მართვის, მისი კონფორმისტების ხროვად გარდაქმნისა და ხელისუფლების სამსახურში ჩაყენების ტექნოლოგიები. პრეზიდენტმა ისიც შესანიშნავად იცის, რომ კონფორმისტთა ერთსა და იმავე ჯგუფზე დაყრდნობა ძალიან სახიფათოა – გუშინდელის ადგილი დღეს ახალგამომცხვარმა „სახემ“ (ესეც ახალი ქართული საპარლამენტო ტერმინია) უნდა დაიკავოს. ამიტომ იგი იძულებულია ერთმანეთის მიყოლებით მოიშოროს და გაწიროს ყავლგასული „ერთგულები“. ასეც აკეთებს.

თავად კონფორმისტებმა იციან, რომ კონფორმიზმი თავის თავში თვითგანადგურების მექანიზმსაც შეიცავს და, საბოლოოდ, ყველა კონფორმისტის მოღვაწეობა და ცხოვრება ტრაგედიით მთავრდება.

ამიტომ, კონფორმისტებს სძულთ ოპონენტებიც და თანამოაზრეებიც. მათ ქმედებას (ცინიზმი, დაუნდობლობა, სისასტიკე) განსაზღვრავს მათივე ბუნება: ამპარტავნობა, შური, სიზარმაცე, მუცელღმერთობა, უგუნურება და ლაჩრობა.

კონფორმისტებს უჭირთ დაჯერება, რომ ძალაუფლება სწრაფ წარმავალი ცდუნებაა და ამქვეყნად მასზე გაცილებით ძვირფასი ღირებულებები არსებობს. ამიტომ ცდილობენ როგორმე დატკბნენ ტალეირანის ცხოვრებით, მისი მოღვაწეობა იდეალად დაისახონ და ტალეირანობაზე იოცნებონ.

კონფორმისტებს კატეგორიულად არ სურთ იცოდნენ, რომ ტალეირანობისთვის ძალზე მცირეა დიდი სურვილი, დიპლომატიის ისტორიის, დახვეწილი კულუარული ინტრიგების და საკუთარი უვიცობის შენიღბვის ხელოვნების ცოდნა; ძალზე მცირეა ყველაფერი ერთადაც კი, რადგან ტალეირანი რომ გახდე, უნდა გქონდეს, სულ მცირე, ქოზეფ ფუშეს გონებრივი შესაძლებლობები, ცხოვრობდე დიდ და ძლიერ ქვეყანაში და... მეცხრამეტე საუკუნეში მაინც...

თეიმურაზ ქორიძე.

ინფორმაცია

## ორთაჭალიდან მოსახლეობის აყრა დაიწყო

ორთაჭალაში, რესტორან „ასტორიას“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ფართობზე, სადაც ახალი საცხოვრებელი დასახლება უნდა გაშენდეს, რაიონის გამგეობის წარმომადგენლები და მოსახლეობა ერთმანეთს დაუპირისპირდა.



დასახლებაში, სახელწოდებით „ორთაჭალის ტურფა“, სამშენებლო კომპანია „არსმა“ მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა უნდა დაიწყოს. ამისათვის ტერიტორია აფხაზეთიდან დევნილი 280-მდე ოჯახისგან უნდა გათავისუფლდეს.

როგორც ისანი-სამგორის რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა განაცხადა, პირველი ეტაპისათვის რაიონის გამგეობას და მერიის ადმინისტრაციულ ინსპექციას დაგეგმილი აქვთ უკანონოდ მითვისებული და შემოღობილი ბაღებისა და საბოსტნე ტერიტორიების ჩამორთმევა, ხოლო შემდეგი ეტაპისათვის უკვე სასამართლო გადაწყვეტს, ჩამოერთმევა თუ არა მოსახლეობას აქ აშენებული საცხოვრებელი სახლები.

როგორც მოსახლეობა აცხადებს, ჯერ კიდევ 10 წლის წინათ, როდესაც ისინი აფხაზეთიდან ჩამოვიდნენ, მათ ეს ტერიტორია კანონიერად მიიღეს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, მაშინდელმა საკრებულოს თავმჯდომარემ მათ სიტყვიერად უფლება მისცა, რომ ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლები აეშენებინათ.

დევნილი მოსახლეობის განცხადებით, ისინი ხელისუფლებას აღარ ჭირდება და რადგან ტერიტორია საკმაოდ პერსპექტიულია, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ისინი აქედან გაასახლონ.

„ჩვენ ძალით და წვალებით გვაქვს ეს ტერიტორიები მოწყობილი და არ დავუშვებთ, რომ ვინმემ ჩვენი საკუთრება ჩამოგვართვას“, – აცხადებს შეკრებილი მოსახლეობა, რომელიც არ აძლევდა ნებას რაიონის გამგებელსა და ადმინისტრაციულ ინსპექციას შემოღობილი ტერიტორიის აყრა დაეწყოთ.

როგორც გამგებელი აცხადებს, მოსახლეობას ეს ტერიტორიები უკანონოდ აქვთ მითვისებული და მათ კომპენსაციაც არ ეკუთვნით.

მიუხედავად მოსახლეობის წინააღმდეგობისა, ტერიტორიის აყრა დაიწყო.

## ბათუმში ვარშალომიძის თოჯინა გამოჩნდა




ბათუმში ლევან ვარშალომიძის გამოსახულებით თოჯინა გამოჩნდა წარწერით – „ლევან წადი“.

თოჯინის ავტორი ლეიბორისტი დავით რობაქიძეა, რომელიც უკვე 23-ე დღეა ბათუმის თეატრის წინ, უმაღლესი საბჭოს გადადგომის მოთხოვნით მჯდომარე აქციას მართავს.

დავით რობაქიძე აცხადებს, რომ თოჯინა პროფესიონალმა მკერავმა არ შეუკერა და მისი გაკეთება თავად მოუწია. თოჯინა 7 ლარი დაჯდა.

მიუხედავად იმისა, რომ, ბათუმელების თქმით, თოჯინა ვარშალომიძეს დიდად არ გავს, ისინი ვარშალომიძის თოჯინასთან სამახსოვრო ფოტოებს მაინც იღებენ.

რობაქიძე აქციების გაგრძელებას სექტემბრის ბოლომდე გეგმავს, სექტემბრის ბოლოს კი აჭარის პირველი „ლეიბორისტი“ აჭარის მთავრობის ხელმძღვანელისთვის საკუთარი შემოქმედების მიყიდვას 28 ლარად აპირებს, რა თქმა უნდა, „თუკი ვარშალომიძეს ამის სურვილი გაუჩნდება“, – აცხადებს დავით რობაქიძე.

## ყვითელაშვილმა საკუთარი რეკორდი მოხსნა

ცნობილმა ქართველმა ინსტრუმენტალისტმა თემურ ყვითელაშვილმა გუშინ საკუთარი რეკორდი მოხსნა. უკვე 30 საათზე მეტია, რაც გიტარისტი რკინიგზელთა სახლში თითქმის შეუსვენებლად უკრავს.

„მისი განწყობა ამაღლებულია და გაჩერებას ჯერ არ აპირებს. თუმცა, რა დროსაც არ უნდა შეჩერდეს, მან საკუთარი რეკორდი უკვე მოხსნა. საათში 5 წუთი აქვს განკუთვნილი დასასვენებლად, წყლის დასალევად, თუმცა, ის 5 წუთსაც არ იყენებს,“ – აღნიშნა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას მარათონის ორგანიზატორმა, საქართველოს მსოფლიო მოგზაურობათა ხელშეწყობის თავმჯდომარემ გვანჯი მანიამ.

ინსტრუმენტალისტი ამ დროის განმავლობაში სხვადასხვა კომპოზიციებს ასრულებს. მის რეპერტუარშია კლასიკა, ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედება, ჯაზისა და როკის საუკეთესო ნიმუშები.

ინტერპრესნიუსი

ფიქრები ხუდონჰესზე

# ავაშენოთ თუ არ ავაშენოთ?

(მესამე გვერდიდან)

გადაწყვეტილება ენგურისა და ხუდონის ჰესების აშენების თაობაზე საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო მაშინ, როცა ეკოლოგიური პრობლემები საერთოდ უგულებელყოფილი იყო, თუმცა მაშინაც არაერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა მას.

განსაკუთრებით გულისწყრომას გამოთქვამდა სვანეთის მოსახლეობა იმ გამოუსწორებელი ზიანისთვის, რაც ენგურჰესმა მიაყენა ბუნებას. ამის თაობაზე არაერთი მწვავე წერილი თუ სტატია გამოაქვეყნეს ჩვენმა მეცნიერებმა, მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა.

სვანეთში ჩამოყალიბებული მძიმე ეკოლოგიური ვითარების გამო ადამიანთა შეშფოთების საფუძვლიანობა ერთხელ კიდევ შეგვახსენა სულ რამდენიმე დღის წინათ ხაიშში – სწორედ დაკონსერვებული ხუდონჰესის ტერიტორიაზე მთის ჩამონგრევამ, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ენგურჰესს. ეს ფაქტი, ალბათ დააფიქრებს ხუდონის მშენებლობის განახლების მომხრეებს. ამ საქმეში აჩქარება საშიშია, აუცილებელია კიდევ ერთხელ იმ შეცდომების პირუთვნელი ანალიზი, რომლებიც დაშვებულია ენგურჰესთან დაკავშირებით, ასევე სხვა დიდი წყალსაცავების მშენებლობაზე, ან თუნდაც მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება დათანხმდა თურქეთის მთავრობას მდინარე ჭოროხზე ჰესის აშენებას, რომლის შედეგებიც დამანგრეველი აღმოჩნდა აჭარის ზღვისპირეთისთვის.

ხუდონჰესის თაობაზე სწორი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია საზოგადოებისა და ბუნების მდგრადი განვითარების კონცეფციის სულისკვეთებით, რომელიც სათავეს იღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიო-დე ჟანეიროს 1992 წლის დეკლარაციიდან. მისი უმთავრესი არსია: თანამედროვე ადამიანის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს ბუნებისადმი ზიანის მიუყენებლად, ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობების სიცოცხლეს. ამ ახლებური ხედვით საბოლოო გადაწყვეტილება ხუდონჰესის გიგანტის მშენებლობის თაობაზე არ შეიძლება მივიღოთ მხოლოდ იმ მოტივით, რომ ქვეყანა განიცდის ელექტროენერგიის დეფიციტს. უფრო მეტიც, ამ ჰესის აშენებით საქართველოს ყველა ეკონომიკური პრობლემაც რომ გადაიჭრას, მაინც არ იქნება იგი გამართლებული. თუკი გამოუსწორებელი ზიანი მიადგება სვანეთის ბუნებას, ბიოსფეროს.



ბატონი რაფიელი სავსებით სწორად აყენებს საკითხს, რომ გადაისინჯოს ოციოდე წლის წინათ შედგენილი პროექტი ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ცხადია, ეს უმთავრესი მომენტია გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ მთავარია ეს გადასინჯვა განხორციელდეს თანამედროვე ეკოლოგიური კრიტერიუმების უმკაცრესად დაცვით.

შეუძლებელია გავიზიაროთ წერილში განვითარებული აზრი, რომ ჩვენი და უცხოელი ექსპერტების დასკვნით ჰიდროტექნიკური ნაგებობების არეალში კლიმატის შესამჩნევი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. წლების წინათ გაკეთებული ეს დასკვნა უსათუოდ შეიცვლება.

ენერგეტიკის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერებს ჰესების სერიოზულ ეკოლოგიურ ნაკლად სწორედ ის მიაჩნიათ, რომ მათი წყალსაცავები, როგორც წესი, მკაცრად ცვლის, აუარესებს კლიმატს.

ჰესებისათვის დამახასიათებელია სხვა ეკოლოგიური საფრთხეც. მეცნიერებისა და პრაქტიკის მონაცემებით დადგენილია, რომ ჰესების მშენებლობა იწვევს ე. წ. „აღძრულ მიწისძვრებს“, რომლებიც განაპირობებენ მნიშვნელოვან ზარალს, ადამიანთა მსხვერპლს და სხვა ეროვნულ უბედურებებს. ცნობილია, რომ ამ მიზეზით წარმოშობილმა მიწისძვრებმა აშშ-სა და ინდოეთში დაანგრიეს ჰესები, რამაც გამოიწვია დიდი ზარალი.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებულ საფრთხესაც – ჰესების დანგრევისას, წყალსატევების ათობით მეტრი სიმაღლის წყალმა შეიძლება წალეკოს ქალაქები და სხვა დასახლებები. ეს საფრთხე ჩვენი ჰესების პირობებში აშკარად რეალურია.

რაში უნდა ვეძებოთ გამოსავალი?

ქვეყნის დღევანდელი ეკოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ყველაზე ეფექტურად მიგვაჩნია მიკროჰესები, რომელთა დანერგვა მიუტევებლად ნელა ხდება, თუმცა უკვე რამდენი წელია ამგვარ აგრეგატებს ჩვენივე საწარმო „თბილავიამშენი“ უშვებს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ამას წინათ, ჩინეთში ჩატარდა საერთაშორისო საგანგებო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ „თბილავიამშენის“ მუშაკები. ჩვენთან კი შესაბამისი ორგანოები დღემდე პასიურობენ.

ჩვენს პირობებში პერსპექტიულია მზის, ქარის, მცირე მდინარეთა და ტალღების მიმოქცევის ენერგიის გამოყენება. იქნებ სწორედ ამ მიმართულებით მოხდეს, ბატონ რაფიელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის გაბრწყინება“ და ხუდონჰესისათვის გათვალისწინებული სახსრების გამოყენება.

შეიძლება დავესესხოთ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებას. საყურადღებოა, რომ მსოფლიოს 68 ქვეყანაში მიღებულია მზის ენერგიის გამოყენების ეროვნული პროგრამები. იტალიასა და აშშ-ში კარგა ხანია შექმნილია მზის ელექტროსადგურები. დაგეგმილია, რომ ამერიკაში 2020 წლისათვის მზის ენერგია დააკმაყოფილებს ენერგიის მოთხოვნებს 10-დან 30 პროცენტამდე.

საქართველოში მზის ენერგიის გამოყენების ერთეული შემთხვევებიც კი ცხადყოფს მის ეკოლოგიურად უსაფრთხო უპირატესობებს და პერსპექტიულობას.

„თბილავიამშენის“ ხელმძღვანელობა, როგორც ყოველთვის ამ საქმეშიც ნოვატორია. ახლა იქ მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ქარის გენერატორების მასობრივი გამოშვებისათვის, რაც დიდ სიკეთეს მოუტანს ქვეყანასა და ხალხს, როგორც ეკონომიკური, ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

უსაფრთხო გარემოში ცხოვრება ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური გარანტიაა და არავის არანაირი მოტივით არა აქვს უფლება ხელყოს იგი. სწორედ ეს კონსტიტუციური პრინციპი დაედო საფუძვლად ჩვენს მიერ თანამოაზრეებთან ერთად საზოგადოებრივი მოძრაობა „უკან, დედაბუნებისაკენ“ ჩამოყალიბებას, რომლის მიზანდასახულობათა შესასრულებლად თავდაუზოგავად ვიბრძოლებ.

დასასრულ, თხოვნით მივმართავ ქვეყნის ჰიდრომშენებლებს, სახელოვან მეცნიერებსა და პრაქტიკოს პროფესიონალებს, ჭეშმარიტ მამულიშვილებს, გამოთქვან პირუთვნელი, კომპეტენტური მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა შეცდომები იყო დაშვებული ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ეკოლოგიური თვალსაზრისით?

რას მოუტანს საქართველოს, მომავალ თაობებს ხუდონჰესი?

ბოლოს და ბოლოს, უნდა დამთავრდეს თუ არა ამ პატარა საქართველოში დამანგრეველი, გიგანტი ჰესების მშენებლობა?

**კოკი ნარმანია,**
**საზოგადოებრივი მოძრაობის „უკან, დედაბუნებისაკენ“ პრეზიდენტი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დამსახურებული იურისტი.**

გვეხმაურებიან

# „შეფერხება დროებითია"

გაგვეცანით თქვენი გაზეთის 28 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ ვარკეთილის დასახლების მკვიდრის გუჯა რთველაძის წერილს „სად დაიკარგა 39“? გაცნობებთ, რომ მოქალაქის ეჭვები სრულიად უსაფუძვლოა: ბოლო პერიოდში №39 მარშრუტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად განპირობებულია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას გამზირებსა და ჯავახეთის ქუჩაზე მიმდინარე ასფალტის დაგების სამუშაოების გამო. აღნიშნული ქუჩების სრული მოასფალტების შემდეგ №39 მარშრუტზე აღდგება დადგენილი მოძრაობის გრაფიკი.

**გ. მაისურაძე,**
**შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოო გაერთიანების“ გენერალური დირექტორი.**

მინაწერი: იმედიანი პასუხია! გვჯერა, გაერთიანების ხელმძღვანელობა სიტყვას შეასრულებს, თუ, რა თქმა უნდა, გზების შეკეთება არ შეფერხდება.

აქ სხვა საკითხზეც გვინდა ყურადღების გამახვილება. სამწუხაროდ, არის კიდევ ერთი „მაგრამ“, რომელიც დამოკიდებულია არა გზებსა და გზაჯვარედინებზე ან მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოო გაერთიანების მონდომებაზე, არამედ თითოეულ ჩვენგანზე: ნახეთ, რა დღეშია ერთ დროს გაკრიალებულ-გაზიმზიმებული ავტობუსები. რბილი სავარძლების დაჭრაც მოუსწრიათ და საზურგეებისაც, კედლებიც ათასი უხამსი წარწერით აუვსიათ და რამდენიმე ავტობუსის მინებიც ჩაუმსხვრევიათ...

**როგორ დავიჯერო, რომ ერთმა ჭკუათმყოფელმა მაინც ვერ შეასწრო თვალი ჩვენი თავგასული ყმაწვილების „შემოქმედებას?“ ნუთუ დამშლელი არავინ არის? ასეთ მძიმე პერიოდში, როცა საქართველოს მთა და ბარი ლამის წყალმა და მეწყერმა წალეკოს, მთავრობა ტრანსპორტის განვითარებაზე, ე. ი. დედაქალაქის მცხოვრებთა მომსახურების გაუმჯობესებაზე ზრუნავს.**

**ჩვენ კი... ეს ხომ მართლაც ჩვენი საკუთრებაა, განა ჩვენ არ ვსარგებლობთ ამ ავტობუსების სიკეთით?**

**ბარაქალა, ჩვენო კულტურულო ახალგაზრდებო და თვალზე ლიბრგადაკრულო მგზავრებო!**

ელგუჯა ლეჟავაძე.



⦾ რუსული პრესიდან

# ამერიკელები ახალი „ცივი ომისთვის“ ემზადებიან?



**ამ ბოლო ხანებში ამერიკელთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ბირთვული გამოკვლევების სფეროში ჩრდილოეთ კორეასა და ირანში განხორციელებული სამუშაოები. ამავე დროს, ცნობილი გახდა ისიც, რომ შეერთებულმა შტატებმა განაახლა თავისი ბირთვული პროგრამა – პირველად „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ.**

ძნელი სათქმელია, დამთხვევა იყო ეს თუ არა, მაგრამ ინფორმაცია შეერთებული შტატების მიერ ბირთვული პროგრამის განახლების შესახებ გამოჩნდა მაშინ, როცა ირანში პრეზიდენტის არჩევნები მიმდინარეობდა. როგორც კი გამოქვეყნდა არჩევნების მეორე ტურის შედეგები, სახელმწიფო დეპარტამენტმა აღშფოთება ვერ დამალა: ირანის ახალი ლიდერი გახდა ულტრაკონსერვატორი მაჰმუდ აჰმადინჯადი, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ აპირებს დაადგეს მძლავრი ისლამური სახელმწიფოს მშენებლობის კურსს. მის გამარჯვებას არ ელოდნენ. უფრო მეტიც, თვით აჰმადინჯადსაც არ ჰქონდა პრეზიდენტის პოსტის დაკავების იმედი, მის შტაბში კი, არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ადგილიც კი ვერ გამონახეს პრესკონფერენციის გასამართავად. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ აჰმადინჯადის მთავარი ელექტორატია ქვეყნის ხელმოკლე მოსახლეობის ფენა. საიდუმლო არ არის, რომ პრეზიდენტი ირანში არ გახლავთ მთავარი პოლიტიკური ფიგურა. ქვეყნის პოლიტიკას განსაზღვრავს უმაღლესი სულიერი ლიდერი, რომელმაც არჩევნებში აჰმადინჯადის გამარჯვების გამოცხადებიდან მცირე ხნის შემდეგ აღნიშნა, რომ ქვეყანაში უნდა გაგრძელდეს ბირთვული პროგრამა, რითაც, როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთი დაასხა.

ირანის ოპოზიცია აცხადებს, რომ არჩევნების შედეგები გაყალბებული იყო. შეერთებულ შტატებსა და ისრაელში კი ამტკიცებენ, რომ ეს არჩევნები თავიდან ბოლომდე სიყალბე იყო.

ამავე დროს, თვით ამერიკაშიც აფეთქდა ერთი პატარა „საგაზეთო ბომბი“. „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბიუნის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს, გამდიდრებული პლუტონიუმ 238-ის წარმოება. ეს რადიაქტიური ნივთიერება უშუალოდ არ გამოიყენება ბირთვულ იარაღში, მაგრამ ენერგიის კარგი წყაროა. პროგრამა დაანგარიშებულია 30 წლისთვის, და ამ დროის განმავლობაში აპირებენ 150 კილოგრამი პლუტონიუმის მიღებას.

ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა რეაქცია ამერიკელი ეკოლოგების მხრიდან. მათი გაანგარიშებით, ბირთვული სამუშაოები აიდაჰოს ეროვნულ ლაბორატორიაში ზიანს მიაყენებენ იელოუსტოუნის ნაკრძალს, გრანდ ტეტოს ეროვნულ პარკს და ჯექსონ ჰოლის რაიონს, რომელიც არის მილიონერების და მათ შორის, ვიცე-პრეზიდენტ რიჩარდ ჩეინის საყვარელი დასასვენებელი ადგილი. ამასთან, ამერიკის ხელისუფლება არ აღიარებს, თუ რას უნდა მოხმარდეს ასეთი ოდენობის რადიაქტიური ნივთიერება. მაგალითად, ენერგეტიკის დეპარტამენტის კვების იზოტოპური წყაროების განყოფილების ხელმძღვანელმა ტიმოთი ფრეიზერმა განაცხადა, რომ პლუტონიუმს აწარმოებენ რაღაც „საიდუმლო მისიისთვის“. სახელმწიფო მოხელემ უარყო ვარაუდი იმის თაობაზე, თითქოს ეს მისია ემსახურებოდეს ბირთვული არსენალებისა და კოსმოსური შეიარაღების განვითარებას. მაგრამ ასეთი ბუნდოვანი განცხადებები დიდ შეშფოთებას იწვევს მსოფლიოში, რომელშიც შეერთებული შტატები ჯერჯერობით უფრო რეალურად არის აგრესორი, ვიდრე ირანი.

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

# ბუში სამიტისგან რაიმე მნიშვნელოვან შედეგებს არ ელის

**შოტლანდიაში იკრიბებიან ეგრეთ წოდებული „რვა დიდი ქვეყნის“ ლიდერები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ედინბურგის სამიტში.**

შეხვედრის დღის წესრიგში შეტანილია კლიმატურ ცვლილებებთან, ვაჭრობასთან, აფრიკის ქვეყნების დახმარებასთან და ვალებთან დაკავშირებული საკითხები.

როგორც მოელიან, საპროტესტო აქციები გაიმართება თვით ედინბურგში და სამიტის გამართვის ადგილის მახლობლად დაბა გლენიგლსთან.

ორშაბათს საპროტესტო გამოსვლების მონაწილეებსა და პოლიციელებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად დააკავეს 90-მდე ადამიანი, 20-ზე მეტი კაცი დაშავებულია, თანაც, დაზარალებულები არიან ორივე მხრიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ბრიტანეთის „აი-თი-ვი“ ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში არაორაზროვნად მიანიშნა, რომ სამიტისგან არ უნდა ველოდეთ რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ვაჭრობის და კლიმატური ცვლილებების სფეროებში.

ბუშმა აღნიშნა, რომ არ აპირებს რაიმე დაუთმოს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მხარს უჭერდა თავის დროზე ერაყში სამხედრო ოპერაციის დაწყებას.

„თუ სამიტის მონაწილეები მოელიან რაღაც კიოტოს ხელშეკრულების მსგავსი დოკუმენტის მიღებას, ამის თაობაზე, ჩემი აზრი უარყოფითია, – თქვა ბუშმა. – კიოტოს ოქმი, უბრალოდ, დაანგრევდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას“.

ბუშის თქმით, ამერიკელი ფერმერებისთვის სუბსიდიების გაუქმება, რასაც მოითხოვენ აფრიკის ქვეყნები, შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი უარს იტყვის სოფლის მეურნეობის სფეროში ეგრეთ წოდებულ ერთიან პოლიტიკაზე, რომელიც ანიჭებს შეღავათებს ადგილობრივ ფერმერებს.

თავის მხრივ, ბრიტანეთის პრემიერს ტონი ბლერს, რომელიც სამიტის თავმჯდომარე იქნება, სურს, რომ



დღის წესრიგში უმთავრეს საკითხად შეიტანონ აფრიკის ქვეყნებისთვის დახმარება.

გარდა ამისა, როგორც მოელიან, სამიტის ყურადღების ცენტრში მოექცევა გარემოს შეცვლის საკითხები, აგრეთვე, ეკონომიკურ სტაბილურობაზე ნავთობის მაღალი ფასებისა და ვალუტათა გაცვლითი კურსების გავლენის პრობლემები.

# ბერეზოვსკი სასამართლოში ჩივილს აპირებს



**ბორის ბერეზოვსკი, რომელმაც მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში, აცხადებს, რომ აპირებს სასამართლოში უჩივლოს რომან აბრამოვიჩს.**

„ინტერფაქს ევროპის“ სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში ბერეზოვსკიმ თქვა, რომ იგი აპირებს იჩივლოს ლონდონის სასამართლოში და მოითხოვოს „იმ საკუთრების დაბრუნება, რომელიც წაართვეს რეკეტის და შანტაჟის გზით“.

მანამდე კი, რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ეთერში ბორის ბერეზოვსკიმ აღნიშნა, რომ ყოველივე ამის „უშუალო შემსრულებელი“ რომან აბრამოვიჩი იყო.

კომპანია „სიბნეფტის“ პრესმდივანმა ჯონ მანმა (ეს კომპანია 2000 წელს მიჰყიდა ბერეზოვსკიმ აბრამოვიჩს) უარი თქვა რაიმე კომენტარი გაეკეთებინა ასეთი განცხადებისთვის მანამ, სანამ სასამართლოში იგი პირადად არ ნახავდა საქმის მასალებს.

„რუსეთში სასამართლო, როგორც ასეთი, არ არსებობს, ინგლისის სასამართლო კი აბსოლუტურად ობიექტურია და არ დაუშვებს არანაირ ზემოქმედებას როგორც ბრიტანეთის მთავრობის, ისე რუსეთის ხელისუფლების მხრიდან“, – ასე დაასაბუთა ბერეზოვსკიმ თავისი გადაწყვეტილება.

მოსკოვის გაზეთი „ვედომოსტი“ წერდა, რომ 2003 წელს ბერეზოვსკიმ აბრამოვიჩს 1,3 მილიარდ დოლარად მიჰყიდა „სიბნეფტის“ აქციათა 50 პროცენტი და 150-170 მილიონ დოლარად რუსეთის „ორტ“ ტელეარხის აქციათა 49 პროცენტი. გარდა ამისა, 2003-2004 წლებში მან დაახლოებით 500 მილიონ დოლარად გაყიდა კომპანია „რუსალის“ აქციათა 25 პროცენტი.

თვით ბერეზოვსკი კი ამტკიცებს, რომ იგი ასეთი დილემის წინაშე დააყენეს: ან აქციებს გაყიდიდა იაფად, ან უბრალოდ, დაკარგავდა მათ.

ორშაბათს ბერეზოვსკის კუთვნილ გაზეთ „კომერსანტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ხაზგასმული იყო, რომ აბრამოვიჩი აპირებს მიჰყიდოს „სიბნეფტი“ სახელმწიფო გაზის მონოპოლისტს „გაზპრომს“.

ამასთან, როგორც „კომერსანტი“ ამტკიცებდა, მეორე სახელმწიფო კომპანია – „როსნეფტიც“ ეცდება შეისყიდოს აბრამოვიჩის კომპანია და იგი, ალბათ, ისარგებლებს კომპანიის იმ აქციებთან დაკავშირებული იურიდიული გაურკვევლობით, რომლებიც ამჟამად ოფიციალურად იმყოფება იუკოსის კომპანიის ბალანსზე. ჯონ მანმა ამ პუბლიკაციას უწოდა „ჭორი“ და თქვა, რომ იგი არანაირ კომენტარს არ გააკეთებდა ამასთან დაკავშირებით.

ბერეზოვსკიმ „ინტერფაქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სარჩელის აღძვრა და „სიბნეფტის“ შესაძლო გაყიდვა არანაირად არ უკავშირდება ერთმანეთს. „მაგრამ იმ ადამიანმა, რომელიც აპირებს მის ყიდვას, უნდა იცოდეს, რომ ყიდულობს ნაქურდალს“, – თქვა ბერეზოვსკიმ.

# სტაჟიორი ბლერი

**პრესტიჟული გამოდგა 21 წლის იონ ბლერის კარიერის დასაწყისი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იგი პრაქტიკაზე გაგზავნეს პირდაპირ შეერთებული შტატების კონგრესში. ჭაბუკი, რომელმაც დაამთავრა ბრისტოლის უნივერსიტეტი „ანტიკური ისტორიის“ სპეციალობით, გაანაწილეს რეგლამენტისა და განაწესის კომიტეტში.**



იონ ბლერის უფროსი გახდება რესპუბლიკელი დევიდ დრეიერი, კონგრესმენი კალიფორნიის შტატისგან და პარლამენტში მმართველი პარტიის ლიდერის ერთგული მეგობარი. ზოგიერთი მონაცემებით, ტონი ბლერის ვაჟის პრაქტიკის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს „უმაღლეს დონეზე“. თანაც, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, შეერთებულ შტატებში მომუშავე ერთ-ერთმა ბრიტანელმა დიპლომატმა „ჩაუშვა“ ბლერის მამა, და განაცხადა, რომ მას დაავალეს „ჩართულიყო ამ საქმეში“.

ასეთი მხარდაჭერის მიუხედავად, უმცროს ბლერს მაინც მოუწია გამოევლინა თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობები, კერძოდ, მას შესთავაზეს დაეწერა მცირე ზომის ესსე იმის შესახებ, თუ რატომ ამჯობინა მუშაობა სწორედ ამ კომიტეტში და რატომ მიიჩნევს თავს ძლიერ კანდიდატად. ეს პროცედურა აუცილებლად უნდა განვლოს სტაჟიორის თანამდებობის მოპოვების ყველა მსურველმა.

თვით იონ ბლერმა უკვე განაცხადა, რომ აპირებს საფუძვლიანად შეისწავლოს ამერიკაში არსებული ყველა პარტია. აქედან ზოგიერთმა გამოიტანა დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს ახალგაზრდა სულ მალე შეიძლება აღმოჩნდეს მისი მძლავრი მფარველების – დემოკრატებისადმი ოპოზიციურად განწყობილი რომელიმე პარტიის რიგებში.

ახლა ცოტა რამ იმაზე, თუ რა ევალება იონ ბლერს. მან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, „უნდა შეუმსუბუქოს მუშაობა თავის უფროსს“ – კომიტეტის ხელმძღვანელს. ეს კი ჩვეულებრივ ნიშნავს, რომ მიართვას მას ფინჯანი ყავა და ქიმწმენდაში წაიღოს თავისი უფროსის კოსტიუმები. თუმცა, შესაძლოა, ამ პრაქტიკანტს პირველი ეტაპისთვის მიანდონ მიღებული წერილების დახარისხება.

თანაც, უმცროსი ბლერის გეგმებში შედის სწავლის გაგრძელება ჰარვარდის უნივერსიტეტში.

**ანა კუტირინა,**

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

⦾ ინფორმაცია

**მორიგი სენსაციური ინფორმაცია ლედი დის შესახებ გაავრცელა მისმა მეგობარმა ქალმა სიმონა სიმონსმა, რომელმაც გამოსცა წიგნი „დიანა: ბოლო სიტყვა“.**

წიგნში აღწერილია, რომ პრინცესას დიდი რომანი ჰქონდა ჯონ კენედი-უმცროსთან. კერძოდ, მოთხრობილია, თუ როგორ ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს ნიუ-იორკის იმ სასტუმროში, რომელშიც უფროსი-კენედი უნიშნავდა პაემნებს მერილინ მონროს. წიგნში მოყვანილი ფაქტების შემოწმება შეუძლებელია, რადგან ჯონ კენედი-უმცროსი დაიღუპა ავიაკატასტროფაში 1999 წელს, დიანას დაღუპვიდან ორი წლის შემდეგ.

* * *

**მსოფლიოში ყველაზე მაღალი ღვინის ბოთლის სიგრძე 1,5 მეტრს შეადგენს.**

ჩეხმა და ბრიტანელმა ოსტატებმა, რომლებიც მუშაობდნენ ამ ბოთლის შექმნაზე, მას „მაქსიმუსი“ უწოდეს. ამ გიგანტური ბოთლით შეიძლება დაახლოებით 1200 ღვინის ჭიქის შევსება.

* * *

**3503 მუსიკოსმა შეადგინა მსოფლიოში უდიდესი ორკესტრი, რომელიც 1998 წლის 23 სექტემბერს შეიკრიბა.**

ორკესტრმა ინგლისის ქალაქ ბირმინგემის „ნეშნლ იდორ ეირინის“ დარბაზში დირიჟორ სერ საიგონ რეტლის ხელმძღვანელობით შეასრულა მალკოლმ არნოლდის „პატარა სიუიტა“, რომელიც სულ 7 წუთსა და 40 წამს გრძელდებოდა.

# „ჰამასს“ მთავრობაში მუშაობა არ სურს

**პალესტინელთა შეიარაღებული დაჯგუფების „ჰამასის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათთვის მიუღებელია წინადადება პრემიერ-მინისტრ აჰმედ ქურეის ხელმძღვანელობით მოქმედ მთავრობაში შესვლის შესახებ.**



„ეროვნული ერთობის მთავრობის ფორმირება არ არის მიზანშეწონილი ამ მომენტისთვის“, – აღნიშნა „ჰამასის“ წარმომადგენელმა.

თვით დაჯგუფების წევრები მოითხოვენ სპეციალური კომიტეტის შექმნას, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პალესტინელთა მოქმედებას ღაზის სექტორიდან ისრაელის ჯარების გამოყვანის პერიოდში.

აგვისტოში ისრაელმა უნდა დაიწყოს ღაზის სექტორიდან 8 ათასი ებრაელი მოსახლის და არმიის იმ ქვეგანაყოფების გამოყვანა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ დაცვას.

ამ რამდენიმე დღის წინ მინისტრთა კაბინეტში შესვლის შესახებ წინადადებით „ჰამასის“ წარმომადგენლებს მიმართა პალესტინის ავტონომიის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ ქურეიმ. თუმცა, ქურეის მაშინ არ განუმარტავს, თუ რა სახით შეძლებდა „ჰამასი“ მთავრობის მუშაობაში მონაწილეობას.

ორშაბათს დაჯგუფების წარმომადგენელმა მუშირ ალ-მასრიმ აღნიშნა, რომ კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტეს, არ მიეღოთ პრემიერ-მინისტრის წინადადება.

მიმომხილველთა აზრით, „ჰამასის“ დაჯგუფების მონაწილეობა პალესტინის მთავრობის მუშაობაში სერიოზულად გაართულებდა ურთიერთობას ისრაელთან, რომელიც „ჰამასს“ ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს.

თვით „ჰამასის“ წარმომადგენლებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მათი საბოლოო მიზანია ისრაელის სახელმწიფოს მოსპობა. მაგრამ მრავალი პალესტინელი „ჰამასის“ დაჯგუფების წევრებს მიიჩნევს ისრაელის ოკუპაციისგან გათავისუფლებისთვის ერთ-ერთ ყველაზე თანამიმდევრულ მებრძოლებად.

ამავე დროს, ისრაელის პრეზიდენტმა მოშე კაცავმა ორშაბათს აღნიშნა, რომ ღაზის სექტორიდან ებრაელთა ჯარების გამოყვანის დაწყების წინ მემარჯვენე ნაციონალისტებმა შესაძლოა, სცადონ თავდასხმის განხორციელება პრემიერ-მინისტრ არიელ შარონზე.

⦾ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს ეკონომიკის მომავალი დაუსრულებელ პრივატიზაციაში არ არის

***ამ დღეებში საქართველოში ჩაიშალა რუსეთის კომპანია „ევრაზჰოლდინგთან“ მიღწეული საპრივატიზაციო გარიგება. გვესაუბრება საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძე.***

**– ბატონო კახა, „ევრაზჰოლდინგის“ მიერ მიღწეულ შეთანხმებას პოლიტიკური სარჩული ხომ არ ჰქონია?**

– „ევრაზჰოლდინგი“ აპირებდა შეესყიდა ჭიათურის მანგანუმის მომპოვებელი სამთო-მამდიდრებელი კომბინატი, ვარციხის ჰიდროელექტროსადგური, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის შესყიდვის პერსპექტივით. სინამდვილეში „ევრაზჰოლდინგთან“ ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არაფერია. ჩვენ კომპანიის ხელმძღვანელებისგან ჯერ კიდევ არ მიგვიღია ოფიციალური შეტყობინება საპრივატიზაციო გარიგების გაუქმების შესახებ. რამდენადაც ვიცი, რუსეთში კვლავ შეისწავლიან სიტუაციას, ანგარიშობენ სავარაუდო მოგებას თუ ხარჯებს. ერთი სიტყვით, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. ხოლო „ევრაზჰოლდინგი“ თუ მაინც უარს იტყვის საქართველოში საქმიანობაზე, არც ეს იქნება დიდი უბედურება, რადგან გამოჩნდებიან სხვა ინვესტორები.

რაც შეეხება საერთოდ რუსეთელთა აქტიურობას, ამ თვალსაზრისით ყველაფერი ნორმალურია. ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ერთ-ერთმა კომპანიამ შეისყიდა პატარა არყის ჩამოსასხმელი ქარხანა. რუსები დაინტერესებული არიან ასევე მადნეულის ოქროს მომპოვებელი სამთო-მამდიდრებელი კომბინატის პრივატიზაციით.

**– თქვენი აზრით, რუსული ბიზნესისთვის საქართველოს ეკონომიკის რომელი სფეროა ყველაზე მეტად მიმზიდველი?**

– ახლა, ვფიქრობ, რომ რეალურ ინტერესს იჩენენ ელექტროენერგეტიკის ობიექტების და მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატისადმი. საერთოდ კი, საქართველოს მომავალი არის არა ხელსაყრელი საპრივატიზაციო გარიგებები, არა გაუთავებელი პრივატიზაცია, არამედ არსებული საწარმოების განვითარება და ახლების შექმნა. მთავარია, რომ ეკონომიკა დინამიკური იყოს, რომ იგი იყოს ღია, იძლეოდეს ვერტიკალური მობილურობის შესაძლებლობას. თუ კომპანია არაეფექტიანია, იგი ნელ-ნელა ქვემოთ ეშვება, ხოლო თუ ეფექტიანია – პირიქით, ზემოთ მიიწევს. ვერტიკალური მობილურობა ეკონომიკის ძალზე მნიშვნელოვანი პარამეტრია. როცა ქვეყანაში დიდი კომპანიები უფრო სწრაფად იზრდებიან, ვიდრე საშუალო და მცირე, ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში, საზოგადოებრივ წყობილებაში რაღაც არასწორად ხდება, ნიშნავს იმასაც, რომ დიდი კომპანიები მეტი უპირატესობებით სარგებლობენ. ეს უპირატესობები უკავშირდება იმას, რომ მსხვილი კომპანიები პოლიტიკურად წყვეტენ საკითხებს, ასე მოქმედება კი საშუალო და მცირე კომპანიებს არ შეუძლიათ. ხდება ერთი კომპანიების გამსხვილება, სხვების – გაქრობა. იმ შემთხვევაში კი, თუ ეკონომიკაში არ არსებობს პოლიტიკური კომპონენტი, თუ ყველას შეუძლია თანაბარი ეფექტიანობით დაამყაროს ურთიერთობა სახელმწიფოსთან, მაშინ, რა თქმა უნდა, პატარა და მცირე კომპანიებს შეუძლიათ უფრო სწრაფად გაიზარდონ, ვიდრე მსხვილ კომპანიებს და უმაღლეს ლიგაშიც გამოჩნდებიან ახალი მოთამაშეები. აი, ამას ვესწრაფვით ჩვენ.

**– როგორ შეაფასებდით მიმდინარე რეფორმებს?**

– ამ 1,5-2 წლის წინათ საქართველოში არანორმალური საგადასახადო განაკვეთები იყო. მაგრამ მაინც არავინ იხდიდა – კერძო წესით ურიგდებოდნენ მაკონტროლებელ ორგანოებს. ყოველივე ამის შედეგად ბიუჯეტში დაახლოებით 400 მილიონი დოლარი თუ ირიცხებოდა. დღეს ბიუჯეტში ერთი სამად მეტი თანხა იკრიფება. და ეს ხდება მაშინ, როცა გაუქმებულია მთელი რიგი გადასახადები და შემცირებულია თითქმის ყველა სხვა განაკვეთი.



ამრიგად, მეწარმისთვის, რომელიც წინათ იხდიდა ყველა გადასახადს და მუშაობდა გამჭვირვალედ (ასეთები კი ძალზე ცოტანი იყვნენ), მდგომარეობა მნიშვნელოვნად შემსუბუქდა. ხოლო ისინი, რომლებიც წინათ არ იხდიდნენ გადასახადებს, ახლა კი იძულებული გახდნენ ეს გააკეთონ, ბუნებრივია, უკმაყოფილონი იქნებიან. მთავარია ის, რომ წინანდელი საგადასახადო რეჟიმი პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა მეწარმეობას. ახლანდელი კი ხელს უწყობს ბიზნესმენებს, რომლებიც გადასახადებს იხდიან ისე, რომ არ კოტრდებიან. ჩვენ მომავალშიც განვაგრძობთ საგადასახადო განაკვეთების შემცირების პრაქტიკას.

**– ამ ბოლო 1,5 წლის განმავლობაში რა შეიცვალა საქართველოს ეკონომიკაში?**

– რეფორმებმა გამოიწვიეს საქართველოში აქტივების რეალური ღირებულების გადასინჯვა. შეწყვეტილია სადემპინგო პოლიტიკა, როცა უძრავ ქონებას ჩალის ფასად იძენდნენ. ახლა ამა თუ იმ შენობის აუქციონზე შესყიდვის მსურველი სერიოზულ თანხებს უხდის სახელმწიფოს. ანუ უძრავი ქონება რეალურ კაპიტალად იქცა. იგივე შეიძლება ითქვას მიწებზეც. ყოველივე ამის შემდეგ სახელმწიფო მფლობელობაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძალზე მცირე პროცენტი თუ დარჩება. თანაც, ეს მიწები დარჩება გარკვეული დაწესებულებების, სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტებისა და სხვათა მფლობელობაში. გარკვეული ნაწილი ეკლესიის საკუთრება იქნება. მაგრამ მიწების დიდი უმეტესობა კერძო მფლობელობაში მოხვდება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველთა საფუძველია.

ხოლო თუ ვილაპარაკებთ მნიშვნელოვან ცვლილებებზე, ერთ-ერთი ასეთია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სისტემა. ახლა ამაზეც შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც საკუთრებაზე. თუ მეწარმე მიიღებს ლიცენზიას ამა თუ იმ ბუნებრივ რესურსზე, ან, ვთქვათ, საეთერო სიხშირეზე, ეს მას უფლებას აძლევს, მოიხმაროს იგი საკუთარი შეხედულებისამებრ: შეუძლია გაყიდოს ეს რესურსი, დააგირაოს იგი და ასე შემდეგ. ეს მნიშვნელოვნად აამაღლებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ეფექტიანობას.

**(იბეჭდება შემოკლებით).**

**იური სიმონიანი,**

НЕЗАВИСИМАЯ

**5 ივლისი.**

# ინდოეთში მოთარეშე ისლამისტები დახოცეს

**ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ აიოდჰიაში პოლიციელებმა მოკლეს ექვსი მოთარეშე ისლამისტი. ისინი ცდილობდნენ იმ რელიგიური კომპლექსის დაკავებას, რომელსაც წმინდა ადგილად მიიჩნევენ როგორც მუსლიმანები, ისე ინდუისტები.**



თითქმის ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ, უშიშროების ძალების ქვეგანაყოფებმა შეძლეს კონტროლი დაეწესებინათ კომპლექსისთვის.

უტარ პრადეშის შტატის ამ ადგილზე მდებარეობს მეჩეთი, რომელიც 1992 წელს დაანგრიეს ინდუისტებმა, რითაც გამოიწვიეს რელიგიათშორისი შეტაკებები.

ისლამისტი მოთარეშეები უკვე კარგა ხანია იმუქრებოდნენ, რომ დაიკავებდნენ რელიგიურ კომპლექსს, თუმცა, ჯერჯერობით არც ერთ დაჯგუფებას არ უკისრია პასუხისმგებლობა ამ თავდასხმისთვის.

ინდოეთის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ადგილობრივი დროით, დაახლოებით დილის 9 საათისა და 15 წუთისთვის, შეიარაღებულმა პირებმა შეაღწიეს რელიგიური კომპლექსის ტერიტორიაზე და ცეცხლი გაუხსნეს დაცვას.

თავდამსხმელებმა ავტომობილში დადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის მეშვეობით დაანგრიეს ტაძრის გალავნის ნაწილი, შემდეგ კი მეორე ავტომობილით შევიდნენ მის ტერიტორიაზე, სადაც პოლიციელებმა ისინი ალყაში მოიქციეს.

ორთოდოქსი ინდუისტების მოძღვრების თანახმად, იმ ადგილზე, სადაც ახლა დგას ტაძარი, იშვა ღმერთი რამა.

იმავე ადგილზე XVI საუკუნეში აშენებული ბაბრის მეჩეთი კი 13 წლის წინათ დაანგრიეს ინდუისტებმა, რასაც მოჰყვა რელიგიათშორისი შეტაკებები და დიდი მსხვერპლი – დაიღუპა ორი ათასზე მეტი ადამიანი.

◉ საქართველოს მეგობრები

# არდავიწყება მოყვრისა...

**ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ ასეთი ბრძნული და ერისათვის სარგო დარიგება დაგვიტოვა რუსთაველმა. რადგანაც ეს ქართულ გონსა და ჯილაგს სისხლხორცში ჰქონდა გამჯდარი და მტკიცედ იცავდა თავის ეროვნულ სულს.**

მტერ-მოყვრობა ქართველმა კარგად იცოდა. იცავდა ქრისტიანულ მორალსაც და თავის ეროვნულ ტრადიციასაც!

სწორედ ეს ტრადიცია იყო, რომ მტერიც კი, სტუმრად მოსული, მოყვარედ უნდა მიეღო ქართველს, რასაც ასრულებდა კიდეც, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი სტუმრად მოსული ჯაყოიზმით ავადდებოდა და ხიზნად მოსული — ჩემიაო, საქვეყნოდ აცხადებდა.

ეს ისე, სხვათაშორის.

მაგრამ მოხდა ისეც, რომ კეთილი გულით, სამოყვროდ მოსული უცხოელი, რომელიც ქართველმა გულთბილად მიიღო, რომელიც ჩვენი საქართველოსთვის დიდებულ საქმეს აკეთებდა, კერძოდ მსოფლიოს აცნობდა ჩვენს წარსულსა და აწმყოს, კულტურასა და ისტორიას, იძულებული გახდა სასომხეთში წასულიყო.



ქვეყნდება პირველად.

ეს საქართველოს მოყვარე ადამიანი გახლდათ დიდი ქართველოლოგი დევიდ მარშალ ლანგი.

ქართველოლოგია, როგორც მეცნიერება ევროპაში პირველად XIX საუკუნეში საფრანგეთში ჩაისახა. როდესაც დიდმა მეცნიერმა მარი ბროსემ (1802-1880) საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიას ამცნო ახალი ქვეყნის — საქართველოს გმირული ისტორია, კულტურა და ხელოვნება.

იმდროინდელ ევროპელ მეცნიერებს, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ ორიენტალისტიკით, სწორედ ბროსეს მეცნიერულმა შრომებმა გაუღვივეს ინტერესი ქართველოლოგიის მიმართ.

ინგლისში ქართველოლოგიის ფუძემდებლად „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები და-ძმა მარჯორი და უილიამ უორდროპები არიან. შემდგომ მათი წამოწყებული საქმე გააგრძელა ისტორიკოსმა ჯეიმს ალენმა, რომელმაც პირველად ინგლისში დაწერა და 1922 წელს გამოსცა „საქართველოს ისტორია“...

ორმოცდაათიან წლებში, კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დევიდ ლანგი სამეცნიერო მოღვაწეობას იწყებს ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკის სწავლების სტუდიაში, კერძოდ, ქართველოლოგიის განხრით, სადაც სამოციან წლებში ცალკე ქართველოლოგიის კათედრას აარსებს.

უნებლიედ ჩნდება ეჭვი, თუ რატომ დაინტერესდა ეს ინგლისელი — ქართველებით. თუმცა, თავად ლანგი ხშირად იმეორებდა „მე ინგლისელი არა ვარ, მე შოტლანდიელი ვარ!“

მეორე მსოფლიო ომის დროს დევიდ ლანგი სერჟანტად იმყოფებოდა ბრიტანეთის არმიაში, კერძოდ ირანში, სადაც, მისი თქმით, იგი გასცნობია ქართველებს.

ლონდონში დაბრუნების შემდეგ, იგი იწყებს ქართულის სწავლას მეზობლად მცხოვრებ რამიშვილებთან და ამთავრებს კემბრიჯის უნივერსიტეტს სლავოლოგიის დარგით და სხვ.

თამამად შეიძლება თქმა, რომ უცხოელ ქართველოლოგთა შორის, მარი ბროსეს შემდგომ, დევიდ ლანგი იყო ყველაზე დიდი ქართველოლოგი, უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგთა შორის.

ქართველოლოგიის დარგში მისმა შრომებმა თავიდანვე საქართველოთი დაინტერესებული მეცნიერების ყურადღება მიიპყრო. მან ჯერ კიდევ 1965 წელს იუნესკოს დავალებით დაწერა და 1966 წელს გამოსცა კაპიტალური შრომა „ქართველები“, რომელიც ითარგმნა მსოფლიოს, კერძოდ ევროპულ ენებზე. ასევე ირანულად და თურქულადაც.

იმავე 1966 წელს იგი მიიწვიეს მთელი წლით აშშ ჰარვარდის უნივერსიტეტში საქართველოს შესახებ ლექციების წასაკითხად და სხვ.

თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისი ძირითადი შრომებიდან 17 წიგნი ინახება. ხოლო მსოფლიოში ცნობილი „ქართველები“ კი არა აქვთ.

დევიდ ლანგი საქართველოში რვაჯერ იმყოფებოდა. მან მოინახულა თითქმის ყველა კუთხე და ეკლესია, სადაც პირჯვრის წერით ხატებს ემთხვეოდა. ის მხოლოდ ერთხელ, 1966 წელს რუსთაველის დღეებში იქნა მოწვეული. ისე, იგი ჩამოდიოდა ლონდონის უნივერსიტეტის მივლინებითა და ტურისტულად...

დევიდ ლანგი საქართველოში პირველად 1962 წ. ჩამოვიდა როგორც მეცნიერი ქართველოლოგი. ქართველ მეცნიერთათვის იგი უკვე ცნობილი პიროვნება იყო, მაგრამ ამას ვერასგზით გამოხატავდნენ, რადგანაც იცოდნენ, რომ მას ეჭვის თვალით უცქეროდნენ. ყოველივე ამის მიუხედავად, როგორც კი ქართველ მეცნიერთათვის ცნობილი გახდა ლანგის საქართველოში ჩამოსვლა, თითქმის ყველა ჰუმანური დარგის მეცნიერი საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას ეწვია, გაეცნენ, ესაუბრნენ მას და ეს ფოტოსურათიც მასთან ერთად გადაიღეს.

დევიდ ლანგი ცრუმეცნიერი რომ ყოფილიყო, მასთან შესახვედრად გაჩნა მოვიდოდნენ დიდი მეცნიერნი, როგორებიც იყვნენ (ფოტოზე მარჯვნიდან სხედან) — **გიორგი ლეონიძე, აკაკი შანიძე, დევიდ ლანგი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვერა ბარდაველიძე, გიორგი ჩიტაია, გიორგი ახვლედიანი.** დგანან: **ალექსანდრე ბარამიძე, ვარლამ თოფურია, პაატა გუგუშვილი, მზია ანდრონიკაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, ნიკო ყიასაშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, შოთა ძიძიგური, იოსებ მეგრელიძე, საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ქლენტი, გრიგოლ ჩხიკვაძე, შოთა მესხია და ამ წერილის ავტორი.**

დღეისათვის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში რეფორმები ტარდება. კარგი იქნება თუ უნივერსიტეტის კედლებში ერთი, თუნდაც პატარა აუდიტორია დაეთმობა უცხოელ ქართველოლოგთა ნამოღვაწარსა და ხსოვნას. მათ შორის დევიდ მარშალ ლანგსაც. ის ხომ ქართველი ხალხის დიდი მოყვასი იყო!

საქართველოში კი მოყვასის დაფასება ოდითგან იცოდნენ.

დაბოლოს, გთავაზობთ დევიდ ლანგის საქართველოში სტუმრობის ზოგიერთ ეპიზოდს...

ყვარელში ვართ, მოვინახულეთ ილიას სახლ-მუზეუმი, სადაც მისმა გამგემ, გვარად ნასყიდაშვილი, ქალბატონმა მშვენიერი, პატრიოტული საუბრის გამო ლანგისგან კომპლიმენტები მიიღო.

ბოლოს სასტუმროს რესტორანში პურ-ღვინო გაიშალა. მივუჯექით სუფრას, მაგრამ იქ მყოფთაგან ყველა თავს არიდებდა თამადობას. რა თქმა უნდა, სუფრაზე ვითომ მასწავლებელი „სუკის“ წარმომადგენელიც იყო. თამადის არჩევა გაგრძელდა და, ბოლოს, ლანგმა თქვა: — ბატონებო, მე ვიქნები თამადა, ოღონდ, როგორც საქართველოში იცით, ვინც არ დალევს სუფრა დატოვოს!

წარმოიდგინეთ, სუფრას მთელი ქართული ადათ-წესებით წარუძღვა და, ვინც ბოლომდე არ დალია, სუფრიდან გაისტუმრა. ბოლოს...

მაგიდასთან დავრჩით ლანგი და მე!

ლანგი პირველადაა გურიაში, მაშინდელ ე.წ. მახარაძეში. რა თქმა უნდა, სადილად რესტორანში დაგვპატიჟეს. სუფრას არაფერი აკლდა. ცოტანი იყვნენ მასპინძელნი, თანაც ფრიად მორიდებულნი და სიტყვაძუნწნი, რაც გურული კაცისთვის დამახასიათებელი არ არის სუფრაზე, რატომღაც შავი ხიზილალით სავსე მათლაფა იდგა და შიგ სუფრის კოვზი ჩაედოთ. რაიკომის თანამშრომელმა მასპინძელმა ლანგს თავი ინჟინრად გააცნო, მათლაფა აიღო და მიაწოდა: „მიირთვით, ბატონოო“. ლანგმა არ გამოართვა და უპასუხა „გაგებული მაქვს, გურული ნამდვილი ხუმარები ყოფილხართო!“...

1966 წელს საქართველომ რუსთაველის დღეები აღნიშნა. მთელი კვირის მანძილზე იყო შეხვედრები, კონფერენციები, ექსკურსიები და, რაც მთავარია, პურ-მარილი.

დამთავრდა ეს ყველაფერი და სტუმრებს ვაცილებთ აეროპორტისკენ. მანქანაში ვართ მე, ინგლისელი ისტორიკოსი ჯეიმს ალენი და დევიდ ლანგი. თბილისიდან აეროპორტამდე ბოძებზე მიმაგრებულ ფარებზე რუსთაველის ანდაზებია.... და აუტყდა სიცილი ლანგს. დაფას აწერია: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ქვევით კი დიდი ასოებით რეკლამა მიუწერიათ: „იფრინეთ აეროფლოტით“.

ის, რაც ლანგმა აღმოაჩინა მთელი ამ დღეების მანძილზე, ვერავინ შენიშნა...

**ნოდარ კოჭლაშვილი.**

◉ ბალავარი

# ქვეყანა ოჯახიდან იწყება

## იდილია დოლონაძის „ოჯახური დინასტიების“ გამო

***ქართველი ერი იმ ერების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ეროვნული კულტურა უმთავრესად საოჯახო კულტურის ფენომენს ეფუძნება. ჩვენში, ძირითადად ოჯახშია აკუმულირებული ის ტრადიციები, რითაც კულტურის განვითარება საზრდოობს. აქედან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ საერთო ეროვნული კულტურის განვითარების შინაარსს საოჯახო კულტურა განსაზღვრავს და არა პირიქით, ამიტომ, ეროვნული კულტურის შენარჩუნება მხოლოდ ოჯახს — ერის უმთავრეს სოციალურ-კულტურულ ფენომენს შეუძლია.***

***აქედან გამომდინარე, საოჯახო ტრადიციების კვლევა, გამორჩეული ოჯახების კულტურული ტრადიციების შესწავლა-განზოგადება უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ უნდა მივიჩნიოთ და დავაფასოთ. ასეთი ოჯახებით კი, საქართველო ყოველთვის მდიდარი იყო.***

***ეს სიმდიდრე და მრავალფეროვნება ძალიან ლამაზად არის წარმოჩენილი ახლახან ბრწყინვალედ გამოცემულ წიგნში „ოჯახური დინასტიები“, რომლის ავტორია მეცნიერი, პედაგოგი, ქალბატონი იდილია (დოდო) დოლონაძე.***

იდილია დოლონაძის წიგნში კარგად არის ნაჩვენები მემკვიდრეობის აღმზრდელობითი და სოციალური მნიშვნელობა. მან, როგორც პედაგოგმა, კარგად იცის, რომ სწორად ორგანიზებული საოჯახო აღმზრდელობითი გარემო ზნეობრივ ნორმებში გაკრისტალებულ შრომით ტრადიციებს წარმოაჩენს, რაც უდიდეს ზეგავლენას ახდენს მოზარდზე, უნერგავს მას საოჯახო შრომითი ტრადიციებისადმი ერთგულებასა და სიყვარულს. ეს იმ ოჯახებშია შესაძლებელი, სადაც პროფესია მოწოდებით აქვთ არჩეული და მისდამი სამსახური ცხოვრების მიზნად უქცევიათ. ასე იქმნება ოჯახური დინასტიები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოში კულტურისა თუ მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარება-დამკვიდრებაში.

სარეცენზიო წიგნში ძირითადად ქართული არისტოკრატიის ზედა ფენების ოჯახებია წარმოდგენილი და ეს შემთხვევითი როდია. სწორედ ქართულ არისტოკრატიულ ოჯახებში შეიქმნა დიდი ქართული კულტურის ტრადიციები, რომელიც შემდეგ მთელი ერის საკუთრებად იქცა. ამასთან, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, სწორედ არისტოკრატიულ ოჯახებს შეეძლოთ დაუფლებოდნენ სოციალურად განსაკუთრებული მნიშვნელობის არამწარმოებლურ პროფესიებს და საოჯახო ტრადიციად ექციათ ისინი.

იდილია დოლონაძის მიერ დიდი სიყვარულით არის წარმოჩენილი ის ოჯახები, რომლებმაც




მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართული განმანათლებლობის ისტორიაში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი კარგი წიგნი საზოგადოების ყურადღების გარეშე რჩება, შემფასებელი და დამფასებელი არ გამოუჩნდება ხოლმე. ქალბატონ იდილია დოლონაძის წიგნი ამ მხრივაც გამორჩეული გამოდგა. ამ წიგნმა გამოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და ცხოველი ინტერესი გამოიწვია. სწორედ ამის დადასტურება იყო ამ ცოტა ხნის წინათ ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამართული შეკრება, სადაც საზოგადოებას წარედგინა „საოჯახო დინასტიები“. ამ შეკრებაზე დიდძალმა მკითხველმა მოიყარა თავი. შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეთა, მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს წიგნის დიდი ღირსებები და მადლობა უძღვნეს ავტორს. ამავე დროს, ყველა გამომსვლელის სიტყვაში გაისმა სავსებით მართებული მოთხოვნა: ავტორმა უნდა განაგრძოს მუშაობა შემდეგ ტომებზე, რადგან იმ ოჯახების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეს სარეცენზიო წიგნშია წარმოდგენილი. ამასთან ისიც ითქვა, რომ საერთო ქართულ კულტურაში ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა ოჯახებმა. მათ მიერ შექმნილი და დამკვიდრებული სამეურნეო კულტურა შესწავლა-გამომზეურებას იმსახურებს.

ჩვენც ვუერთდებით ამ საერთო განწყობილებას.

**ზურაბ ცუცქირიძე.**

◉ ღვაწლი

# თავადაც „ციცინათელას“ ჰგავს...



**კეთილი საქმე ყველგან, როგორი უკუნიც არ უნდა სუფევდეს, ციცინათელასავით იმედის ნაპერწკალს აღვივებს და ლამპარივით უნათებს გზააბნეულთ. მსგავსი პიროვნებები კი დღეს, სამწუხაროდ, უმცირესობას წარმოადგენენ.**

**სწორედ ამ უმცირესობას განეკუთვნება ცნობილი ლიტერატორი, მწერალი და მთარგმნელი აკაკი ბრეგაძე.**

აკაკი ბრეგაძეს სამოცდაათი წელი შეუსრულდა. ამ თარიღს დაემთხვა მისი რედაქტორობით გამოსული გაზეთის „ციცინათელას“ ათი წლისთავი და მის მიერვე შექმნილი საყმაწვილო წიგნების სერიის — „საკითხავი ყმაწვილთათვის“ — ათი ტომის გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია საქართველოს ისტორია, წინაპართა საგმირო საქმეები, ზღაპრები და სხვა უამრავი საგულისყურო ლიტერატურა.

ამ წიგნებისა და გაზეთის გამოცემის იდეა ოჯახში დაიბადა, სარედაქციო კოლეგიასაც მისივე ოჯახის წევრები შეადგენენ, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან მამულიშვილურ საქმეს.

ეროვნული ღირებულებების დაცვის, ახალგაზრდა თაობის განათლების და აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ აკაკი ბრეგაძე საპატიო დიპლომით დააჯილდოვა.

იუბილის აღსანიშნავად ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში, მოკრძალებულ საღამოზე შეიკრიბნენ მისი მეგობრები, კოლეგები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც კეთილ სიტყვებს არ იშურებდნენ.

**გაგა აბაშიძე — პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი:** — „ძალიან დიდი წვლილი აქვს ამ ადამიანს მომავალი თაობის სულიერ ჩამოყალიბებაში, ის ემსახურება ყველაზე პასუხსაგებ საქმეს...“

**ლევან ზრუიძე — პროფესორი!** — „ის ასეთი მოღვაწეობით აგრძელებს უდიდესი ქართველი პატრიოტის იაკობ გოგებაშვილის საქმიანობას, რითაც მუდმივ კავშირშია თავის წინამორბედთან და მისი იდეების გაგრძელებისთვის მის „მემკვიდრედ“ მოიაზრება...“

აკაკი ბრეგაძეს კარგად იცნობს უფროსი თაობაც, როგორც არაერთი ნაწარმოების მთარგმნელს, მას უამრავი ცნობილი წიგნი აქვს ნათარგმნი, რომელთაგან, მხოლოდ ოცდახუთი აქვს გამოცემული. ბოლო პერიოდში მან გამოსცა ბორის პასტერნაკის — „ექიმი ჟივაგო“ და ჩინგიზ აიტმატოვის — „საქონდაქრე“, რისთვისაც ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა.

**ლელა მანაგლიშვილი.**

**სურათებზე: აკაკი ბრეგაძე; აკაკი ბრეგაძის ოჯახი-სარედაქციო კოლეგია.**



◉ ინფორმაცია

## რელიგიათა საბჭომ პირველი სხდომა გამართა

**სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ გუშინ პირველი სამუშაო სხდომა გამართა.**

**საბჭომ, რომელიც საქართველოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლებს აერთიანებს, წესდება დაამტკიცა და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები შეიმუშავა. რელიგიათა საბჭოს შემადგენლობა კიდევ ერთი წარმომადგენლით გაიზარდა — მას სომხური ეკლესია შეუერთდა.**

**სახალხო დამცველის აპარატთან არსებული რელიგიათა საბჭო 15 რელიგიურ მიმდინარეობას აერთიანებს. მისი შექმნის მიზანია რელიგიური კუთხით ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო ინტეგრაცია და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრება. საბჭოს საქმიანობაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა იმ რელიგიურ ორგანიზაციებსაც შეუძლიათ, რომლებმაც საბჭოში გაერთიანება არ ისურვეს და ერთობლივ მემორანდუმზე ხელი არ მოაწერეს.**

## დღეს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები გვეწვევიან

**საქართველოს დღეს აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურის დელეგაცია ეწვევა. დელეგაციას გენერალ-ლეიტენანტ ელჩინ გულიევი უხელმძღვანელებს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში განუცხადეს, ვიზიტის მიზანი ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გარღმავებაა.**

**აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლებს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე მიიღებს. დახურული შეხვედრის შემდეგ დეპარტამენტში პრეს-კონფერენცია გაიმართება.**

**მოგვიანებით, შეხვედრები შედგება საქართველოს შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან და უშიშროების საბჭოს მდივან გელა ბეჟუაშვილთან.**

**ამავე ვიზიტის ფარგლებში, 7 ივლისს, სტუმრები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს, კერძოდ კი რეგიონული სასაზღვრო სამმართველო „გარდაბნის“ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „წითელი ხიდის“ მიმართულებას მოინახულებენ.**

## ტატუირება საშიშია!

**თბილისის მერიის საქალაქო სამსახური — სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია, ინფექციების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, მოსახლეობას მხატვრული ტატუირების გაკეთებისგან თავის შეკავებას ურჩევს.**

**როგორც ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელის მოადგილემ ლევან ედილაშვილმა განაცხადა, ტატუირება სპეციალური აღჭურვილობით, ერთჯერადი ნემსებითა და საღებავებით უნდა ხდებოდეს, რომელსაც წარმომავლობის სერტიფიკატი უნდა ახლდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი შესაძლოა ტატუირება შიდსის, „ბ“ და „ც“ ჰეპატიტების გავრცელების წყარო გახდეს.**

**ედილაშვილის განცხადებით, ტატუაჟისთვის კანის ზედაპირი 70-პროცენტიანი ეთილის სპირტით უნდა დამუშავდეს და შესაბამისი პროცედურები შემდეგ უნდა ჩატარდეს.**

**მისი თქმით, შემოწმება ჩატარდა დედაქალაქის 150-მდე სილამაზის სალონში. 92 ობიექტზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შედგა. ექსპლუატაცია შეუჩერდა 30-ს, დანარჩენს კი შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება დაევალა.**

## ჯარისკაცმა თავის მოკვლა სცადა

**ვაზიანის სამხედრო ნაწილში 4 ივლისს, საღამოს თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტი დაფიქსირდა. ჯარისკაცმა ავთანდილ საგანელიძემ მუცლის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა მიიყენა.**

**გავრცელებული ინფორმაციით, საგანელიძეს ამავე ნაწილის სერჟანტი დიმიტრი წიქარიშვილი ფულს თხოვდა. ამ დროისათვის ავთანდილ საგანელიძე რუსთავში საკუთარ სახლში მკურნალობის კურსს გადის.**

**მომხდართან დაკავშირებით, კომენტარს არც ჯარისკაცი და არც სერჟანტი არ აკეთებენ. მოკვლევას გარდაბნის საგამოძიებო ნაწილი ქვემო ქართლის პროკურატურის ზედამხედველობით აწარმოებს. კომენტარისგან თავს სამართალდამცველებიც იკავებენ.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ წალკა

# ღმერთმა ამრავლოს ბარეთელები!

**ბაშქოი, წალკის რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელია. ის ზღვის დონიდან 1590 მეტრის სიმაღლეზეა, რაიონული ცენტრიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული, გაშენებულია ბარეთის ტბის ჩრდილო-დასავლეთით. ისტორიული სახელი ამ ადგილისა ბარეთია (ბაშქოი მას მოგვიანებით, XIX საუკუნის 30-იან წლებში უწოდეს). აქ ისევე, როგორც თრიალეთის მთელ ზეგანზე მრავლადაა აღმოჩენილი ადრე ბრინჯაოსა და შემდგომი ხანის არქეოლოგიური მასალა. შემორჩენილია შუასაუკუნეების ეკლესია-მონასტრები, სადაც, მიუხედავად აშკარა ცდისა, მაინც ვერ წაუშლიათ ქართული კულტურისა და დამწერლობის კვალი. ერთი სიტყვით, მთელ ამ ძირძველ ქართულ მხარეში, სხვათა გვერდით ცხოვრობდა ჩვენი წინაპარი, იზიარებდა თანამემამულეთა ლხინსა თუ ჭირ-ვარამს, იბრძოდა სამშობლოსათვის, მტერს მტრულად, მოყვარეს კი მოყვრულად ხვდებოდა.**



**შემდგომ კი, დროის ბედუკუღმართობის გამო, ეს მხარე თანდათან დაიცალა მოსახლეობისაგან, XIX საუკუნის 30-იან წლებიდან აქაურობას თავი შეაფარეს თურქეთიდან დევნილმა ბერძნებმა, ძველ ქართულ ნასოფლარებზე ახალი სიცოცხლე გაჩნდა, მაგრამ უკვე არ ისმოდა ტკბილხმოვანი ქართული. ასე გავიდა საუკუნენახევარი, აშენდა და დამშვენდა აქაურობა, ოღონდ უქართველებოდ.**

XX საუკუნის 90-იან წლებიდან ბერძნებმა მასობრივად დაიწყეს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება. ბაშქოი სანახევროდ დაიცალა. ამ დროიდან დაიწყო აქ ქართველთა ხელახალი დამკვიდრება. სვანეთისა და მაღალმთიანი აჭარის მკვიდრთ არგუნა უფალმა საუკუნეების განმავლობაში გაუცხოებულ მიწაზე ქართული სულისა და გენის ხელახალი აღორძინება. ამჟამად აქ 100 ქართული და 18 ბერძნული ოჯახია. 2004 წლიდან გამგებელი ერმენტო გაბულდანია. ის მადლიერია აქ დამხვდური ბერძნებისა, რომლებიც ახლადჩამოსახლებულებს სტუმართმოყვრულად შეხვდნენ. მისი თქმით, მოსახლეობა ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილია, ისინი უფრთხილდებიან მეგობრულ ტრადიციას და ასე ცხოვრობენ.

სოფელში არის ქართული საშუალო სკოლა, რომელსაც ნანა დევდარიანი ხელმძღვანელობს. საშუალო სკოლაა იმერაშიც, ხოლო ლივადსა და კარაკუმში არასრული საშუალო სკოლებია. ისინი სათანადო კადრებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ აკლია სასკოლო ინვენტარი. სოფელში არის ძიუდოსა და კარატეს სპორტული სექციები. მალე, აქ აღზრდილი სპორტსმენები თავიანთ სიტყვას იტყვიან რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასპარეზზე.

საკრებულოებს შორის გამართულ რესპუბლიკურ ტენდერში გამარჯვების შემდეგ სოფელს გადაეცა 150 ათასი დოლარის ოდენობის თანხა, ამჟამად შენდება ახალგაზრდული ცენტრი, კულტურის სახლი, თანხის ნაწილი მოხმარდება სკოლის ეზოს შემოღობვას, სტადიონის მშენებლობას. შენდება წყალსადენი, სატელევიზიო ანძა, რომლის მეშვეობითაც სოფელი მიიღებს „რუსთავი 2-ის“ და საზოგადოებრივი ტელეარხების გადაცემებს. ანძის მშენებლობა უცხოურმა ფირმამ „ქეამ“ დააფინანსა.

სოფლის თავკაცი დიდ მზრუნველობას იჩენს მარტოხელებისა და მოხუცების მიმართ. საკრებულო დროულად უწევს მათ მატერიალურ დახმარებას.

ბატონი ერმენტო და მთელი სოფელი მადლიერია რაიონის გამგებლის მიხეილ ცქიტიშვილისა, რომელიც მათ მხარში უდგას ყველა საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში.

სოფლის ტერიტორიაზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. იმ მიწების მფლობელებმა, სადაც მაგისტრალი გადის, უკვე მიიღეს ფულადი კომპენსაცია. კომპანია მალე დაიწყებს სოფლის ტერიტორიაზე საავტომობილო გზის კეთილმოწყობას. ამრიგად, სოფელი ცხოვრობს თავისი პრობლემებითა და სატკივარით. იზრდება, შენდება და მშვენდება. მოსახლეობას გადაწყვეტილი აქვს მას აღუდგინოს ისტორიული სახელი ბარეთი.

ღმერთმა ამრავლოს და აკურთხოს ბარეთელები!

**ნაზი მეშველიანი,**
**დათო ფარჯიანი.**

**სურათზე: წალკის ბაშქოის საკრებულოს სოფელ ლივადის წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესია.**

◉ საქართველოს მეგობრები

# ალბაკიარა პიცუტო: ვშიშობ, რომ ქართველები ვერ აცნობიერებენ, თუ რა საგანძურს ფლობენ

**ბოლო პერიოდში საქართველოსა და იტალიას შორის ახალ კავშირურთიერთობებს ჩაეყარა საფუძველი, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იტალიაში სტუმრობამ. ამ ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტორად გვესახება დიალოგი ქართველ და იტალიელ ხელოვანთა შორის, რადგან ხელოვნებას თავისთავად აქვს ის ღირებულება, რაც პოლიტიკას არ გააჩნია.**



სულ ახლახან იტალიის საელჩოს მხარდაჭერით იტალიაში, ქ. ბორგომანეროში გაიმართა ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა – „თბილისური ნაკვალევი“, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა. შემდეგ საქართველოს ესტუმრა გამოჩენილი იტალიელი რესტავრატორი და მხატვარი ალბაკიარა პიცუტო, რომლის არჩევანი ალბათ ჩვენი ერების საერთო მგრძნობელობამაც განაპირობა. ამრიგად, ალბაკიარამ გადაწყვიტა თავისი მრავალფეროვანი საქმიანობა საქართველოშიც „ჩამოეტანა“.

აღსანიშნავია, რომ ხელოვანი მზადაა, თავისი მდიდარი და ღრმა გამოცდილება ისეთ ურთულეს სფეროში, როგორიცაა ფრესკის რესტავრაცია, ამ ჟანრის რამდენიმე უძველესი და უნიკალური ქართული ნამუშევრის აღდგენას მოახმაროს.

საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით აღფრთოვანებულმა შემოქმედმა მოკლე დროის განმავლობაში სამი ნამუშევარი მიუძღვნა ჩვენს სამშობლოს სამახსოვრო წარწერით – **საქართველოს, ამ არაჩვეულებრივ, უმწიკვლო და ხალას ქვეყანას...**

**ალბაკიარა პიცუტო:** „ყველაფერი ქართველ გოგონასთან მეგობრობით დაიწყო, რომელიც იტალიაში გავიცანი. იგი მესაუბრა საქართველოზე, ქართულ ხელოვნებაზე, ბიზანტიური ტიპის ფრესკებით შემკულ ულამაზეს ტაძრებზე... ვინაიდან პროფესიონალი რესტავრატორი გახლავართ, ამ სტილს კარგად ვიცნობ და ვაფასებ, ამდენად ძალიან დავინტერესდი თქვენი ქვეყნის კულტურით. შემდეგ ერთი დამთხვევაც მოხდა, – შევხვდი ჩემს მეგობარს, იტალიელ გრაფს ჯელასიო გაეტანის, რომელიც შარშან სტუმრობდა საქართველოს... მან თავისი შთაბეჭდილებები გამიზიარა, რის შემდეგაც მყარად გადავწყვიტე საქართველოში გამომგზავრება. ამ მიზნით დავუკავშირდი იტალიის ელჩს საქართველოში ფაბრიციო რომანოს.

...და კიდევ ერთი დამთხვევა. ბატონი ფაბრიციო მიურატების პრინცესას, ვერონიკას თხოვნით დადიანების საგვარეულოში მდებარე ტაძრებისა და ფრესკების რესტავრაციისთვის კომპეტენტურ იტალიელ სპეციალისტს ეძებდა. ყველაფერი საოცრად გადაება ერთმანეთს. მივხვდი, რომ აუცილებლად უნდა ვწვეოდი საქართველოს. თითქოს რაღაც ძალა მიბიძგებდა მისკენ“.

ალბაკიარა საქართველოს ესტუმრა და თანამედროვე ხელოვნების გალერეაში გამოფენაც მოაწყო. მან წარმოგვიდგინა როგორც ფრესკული (კედლის) მხატვრობა, ასევე რამდენიმე კონცეპტუალური და ექსპრესიონისტული ნამუშევარი.

ალბაკიარამ საქართველოს მიუძღვნა: „შუქის მოლოდინში“, „თქვენი ოქრო ლურჯია“, „ვარძია“ და „ანანური“.

იტალიელი მეგობარი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ესტუმრა. ნახა არაერთი საეკლესიო კომპლექსი... მცხეთა, ანანური, ვარძია...

**ალბაკიარა:** „პარადოქსია – იოტისოდენა ყურადღება არ ექცევა ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, როდესაც საქართველოს მხოლოდ ტურიზმით შეუძლია არსებობა. ეგვიპტეში ტურისტები პირამიდების სანახავად ჩადიან, მართალია, ისინი გვაოცებენ თავიანთი გრანდიოზულობით, მაგრამ სულიერი თვალსაზრისით დაუკმაყოფილებელი რჩები... ქვეყანას კი უდიდესი შემოსავალი აქვს ტურიზმის წყალობით. ტურისტული ინფრასტრუქტურა მაქსიმალურადაა განვითარებული ასევე თურქეთსა და საბერძნეთში. ათენში ერთ პატარა ტაძარს, რომელიც ბიზანტიური ტიპის ფრესკებითაა შემკული, უამრავი მნახველი ჰყავს... არადა, თქვენთან ათასობით ტაძარია, რომელთაც ბადალი არ მოეპოვება. ნებისმიერი ტაძრის ისტორია კი საინტერესოა და მნიშვნელოვანი. მე არ მინდა, მასწავლებლის როლში გამოვიდე, მაგრამ ვშიშობ, რომ ქართველები ვერ აცნობიერებენ, თუ რა საგანძურს ფლობენ, ალბათ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მათი მნიშვნელობა უცნობია“.

საქართველოზე შეყვარებული ხელოვანი მზადაა, ბოლომდე დაიხარჯოს, სრულად გამოიყენოს ამ სფეროში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება და საკუთარი ცოდნა უნიკალური ქართული ნამუშევრების აღდგენას მოახმაროს... სწორედ ამ მიზნით გამოიკვლია რამდენიმე სამლოცველოში ფრესკების ქიმიურ-ფიზიკური შემადგენლობა და პასუხები საქართველოში ჩამოიტანა. მისი აზრით, ეს მასალა დიდ სამსახურს გაუწევდა სპეციალისტებს, რესტავრატორებს, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებით დაინტერესებულ პირებს, მაგრამ ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

ხელისუფლების წარმომადგენელთა უგულისყურო დამოკიდებულებით დაბნეულ ალბაკიარას ერის სულიერ მოძღვართან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრა ვურჩიე...

მოგეხსენებათ, საუკუნეთა ჭიდილში ჩაკარგული ქართული ხატწერის აღდგენისთვის განსაკუთრებულად იღვწის ჩვენი პატრიარქი, მისი მონდომება რომ არა, დღეს იმის მეოთხედიც არ გვექნებოდა, რაც გვაქვს. მისი ძალისხმევით აღორძინდა ხატწერა, ქარგვა, მინანქარი.

ილია მეორემ უდიდესი სიყვარულითა და სითბოთი მიიღო ალბაკიარა პიცუტო, იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო და მათ ამ პრობლემებით დაინტერესებული სასულიერო პირები და არქიტექტორთა ჯგუფიც წარუდგინა.

თვალებზე ცრემლმორეული ალბაკიარა პიცუტო უდიდესი განცდით იხსენებს ამ შეხვედრას. „ასეთი ძლიერი ემოციური დატვირთვა იოანე პავლე მეორესთან ვიზიტის შემდეგ არ მქონია. საქართველოს პატრიარქი საოცარი ადამიანია. მან განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ჩვენი ქვეყნის მიმართ და უდიდესი გულისყურით მოგვისმინა. გაოცებული დავრჩი მისი შემოქმედებით – დაწერილი ხატებით... ყველაფერთან ერთად ის უდიდესი ესთეტია“.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, უძველესი ქართული ტაძრების აღდგენის საქმეში უაღრესადაა დაინტერესებული მიურატების პრინცესა ვერონიკა. ახლო მომავალში ალბაკიარა პიცუტო სწორედ დადიანების საგვარეულოში მდებარე სამლოცველოთა ფრესკების რესტავრაციას დაიწყებს.

**ია ხაზარაძე**

**სურათებზე: (მარცხნიდან) პროფესორი დე მატეი, იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო და ალბაკიარა პიცუტო; ალბაკიარა პიცუტო – „ვარძია“, „სინათლის მოლოდინში“.**





◉ ინფორმაცია

## ჯავახეთის ნაკრძალის შექმნის საკითხიც დგება

**სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გარემოს დაცვის პრობლემების მოგვარებაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი და მისი აზერბაიჯანელი და სომეხი კოლეგები ჰუსეინ ბეგიროვი და ვარდან აივაზიანი მსჯელობენ.**

შეხვედრა ევროკავშირის ეგიდით, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ დახურულ ფორმატში მიმდინარეობს. საერთო კავკასიური გარემოს დაცვით საკითხებზე ისაუბრებენ დღევანდელი შეხვედრის მონაწილეები. კერძოდ, საუბარი შეეხება მტკვარ-არაქსის აუზის პრობლემებს, ასევე, დღის წესრიგში ჯავახეთის ნაკრძალის შექმნის საკითხიც დადგება.

შეხვედრის ერთ-ერთ ძირითად თემას ფონდ „კავკასიის რეგიონალური გარემოს დაცვითი ცენტრის“ რეფორმირება წარმოადგენს, რომლის დამფუძნებლები არიან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შესაბამისი უწყებები.

ინტერპრესნიუსი

სს ქ. რუსთავის № 2 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი გასცემს იჯარით კუთვნილი შენობის პირველ სართულზე 18.12 კვ.მ. თავისუფალ ფართს საბაზრო ღირებულებით 750 ლარი საკონკურსო პირობებით.
1. წილობრივი მონაწილეობის მიღება შენობის ინფრასტრუქტურულ მომსახურებაში.
2. მიმდინარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (გამწვანება).
3. ნაქირავებ ფართში ისეთი საქმიანობის წარმოება, რომელიც ხელს არ შეუშლის სამედიცინო მომსახურების ნორმალურ მსვლელობას.
სს ქ. რუსთავის № 2 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის ადმინისტრაცია.

სს „საქწყალპროექტი“ იწვევს აქციონერებს საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 27 ივლისს 16 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №60, „წყალეკოლოგიის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.
აქციონერთა აღრიცხვიანობის თარიღი – 27 ივლისი.
აქციონერებმა თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა რეგისტრაციაში გასატარებლად, ხოლო იურიდიული პირების წარმომადგენლებმა მინდობილობა.
რეგისტრაციის დასაწყისი – 15 საათსა და 30 წუთზე.
კრების დღის წესრიგი:
1. 2004 წლის სამეურნეო წლიური ანგარიში.

◉ ოლიმპიური ფესტივალი

# ლილიანოში ქართული ჰიმნი პირველსავე დღეს აჟღერდა



**უკვე გაუწყეთ, რომ იტალიის საკურორტო ქალაქ ლილიანოში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც 48 ქვეყნის 2760 სპორტსმენი ასპარეზობს, მათ შორის – 31 საქართველოდან.**

შეჯიბრების პირველ დღეს, ტრადიციულად, წარმატებას მიაღწიეს ძიუდოისტებმა. 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში პაატა მერებაშვილმა ზედიზედ დაამარცხა ბულგარელი იანისლავ გურჩევი, პოლონელი მატეუშ გრუშჩინსკი, ესპანელი დანიელ პიონსი, ნახევარფინალში იპონით მოუგო რუს პაველ გლიუზს, ფინალში კი დამაჯერებლად სძლია უკრაინელ პოპოვიჩს. ლილიანოში ქართველი ძიუდოისტის გამარჯვების აღსანიშნავად საქართველოს ჰიმნი აჟღერდა.

კარგად დაიწყო ორთაბრძოლები რობერტ მშვიდობაძემაც (55 კგ.). მან გზიდან ჩამოიცილა ისლანდიელი მარ არნორ გუდმენდსონი, სომეხი ოვანეს დემირჭიანი და შვეიცარიელი ადრიან ვულშლეგერი, სამაგიეროდ ნახევარფინალური ორთაბრძოლა დათმო მომავალ ჩემპიონთან – აზერბაიჯანელ თეიმურ ბაგირლისთან (როგორც აქ დაირხა ხმა, აზერბაიჯანელი 21 წლისაა, ფესტივალში კი 18 წლამდე სპორტსმენები მონაწილეობენ). ბრინჯაოს მედლებისთვის პაექრობაში მშვიდობაძემ ლატვიელი მაქსიმ მოროზოვი დაამარცხა.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ფეხბურთელებმა. მათ შვეიცარიელი თანატოლები დაამარცხეს 2:1. გოლები ფოთის „კოლხეთის“ თავდამსხმელმა ირაკლი ძარიამ და თბილისის „ამერის“ ფორვარდმა რატი წინამძღვრიშვილმა გაიტანეს. დღეს ისინი ლატვიელებს შეხვდებიან.

გაგვახარეს ჩოგბურთელებმაც. ნიკოლოზ ქურდაძემ სომეხ აშოტ გევორქიანს დააყრევინა ფარ-ხმალი 6:4, 6:3, ოქსანა კალაშნიკოვამ კი ძნელ ბრძოლაში ფრანგი ჟულიე ჰერვი დაამარცხა – 5:7, 6:0, 6:4.

კანოეში გიორგი მანაგაძემ 1000 მეტრზე მე-6 ადგილი დაიკავა, ნიკოლოზ კუცია კი წინასწარი ასპარეზობის შემდეგ დაემშვიდობა ტურნირს. ასევე ნაადრევად გადაინაცვლა მაყურებლებში მძლეოსანმა მარიამ ინაშვილმა, რომელმაც 100 მეტრზე რბენაში ნახევარფინალსაც ვერ უწია.

დღეს სინგაპურში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია გაიმართება, სადაც 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის დედაქალაქი დასახელდება. ამ სესიაზე დასასწრებად ლილიანოდან სინგაპურში საოკის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი გაემგზავრა.

**კახა ბერიძე,**

**ლილიანოდან სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.**

◉ წინ, საქართველო!

# „ავაზა“ მოეწყობა ლამაზად

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ თბილისში და მის ფარგლებს გარეთ უნდა აშენდეს ათობით მცირე ზომის ბავშვთა მინიფეხბურთის სტადიონი, ხოლო იმ სპორტულ სამჭედლოებს, რომლებთაც კაპიტალური რემონტი ესაჭიროებათ, აუცილებლად უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.**

პრეზიდენტის ეს მოწოდება აიტაცეს თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (თავმჯდომარე – გიორგი უდესიანი) მუშაკებმა. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ხელოვნურსაფარიანი მოედანი (50X25) დაიგება მიხეილ მესხის სახელობის მოზარდთა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „აჭვაზის“ სტადიონზე.

დღეს იქ თვითმცლელებს მოჰკრავთ თვალს, რომლებიც ქვა-ღორღს ეზიდებიან. სტადიონის მოსაშანდაკებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ მოედანზე ყვითელ ქვიშას მიაყრიან. მშენებლობის მესამე ეტაპზე მოხდება მინიფეხბურთის ღია მოედნის მწვანე ხელოვნური საფარის დაგება.

– იმედს არ ვკარგავთ, რომ მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის მუშაკები ჩვენი სკოლის ძირითადი სტადიონის (105X60) რეკონსტრუქციასაც განახორციელებენ, რაც ფასდაუდებელი დახმარება იქნება ჩვენთვის, – განაცხადა „ავაზის“ დირექტორმა მამუკა მესხმა.

**შოთა გოკერია**

**სურათზე: სარემონტო სამუშაოები „ავაზის“ სტადიონზე.**

**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**






◉ ფეხბურთი

# ნიკოპოლიდან თასით დაბრუნდნენ

**ახლახან უკრაინის ქალაქ ნიკოპოლში (დნეპროპეტროვსკის ოლქი) გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ნიკოპოლის მერიის თასის VII გათამაშებაში პოლონეთის, რუსეთის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების 1990 წელს დაბადებულთა 12 გუნდი მონაწილეობდა.**



ტურნირის ორგანიზატორებმა მოასპარეზე კლუბები ორ შესარჩევ ჯგუფად დაყვეს. პირველ ჯგუფში საქართველოს სპორტულ ღირსებას დიღმის ოლიმპიური მზადების ცენტრის გუნდი იცავდა (მწვრთნელები – თამაზ სამხარაძე, ბაგრატ ჩადუნელი), რომელმაც თავის საკვალიფიკაციო ჯგუფში ანგარიშით – 2:0 დაამარცხა დონეცკის „შახტიორი“. მეორე ტურში თბილისელმა ფეხბურთელებმა – 2:1 სძლიეს ნიკოპოლის 98-ის თანატოლებს. მომდევნო მატჩი ჩვენმა ჭაბუკებმა ფრედ 0:0 დაასრულეს უკრაინის კომსომოლსკის გუნდთან. შემდეგ 5:1 გაანადგურეს ლვოვის „კარპატი“, ქვეჯგუფში ბოლო შეხვედრა კი ოდესის „ჩერნოგორეცთან“ მშრალი ანგარიშით – 5:0 მოიგეს.

ფინალურ მატჩში თბილისელების მეტოქე ნიკოპოლის „ელექტრომეტალურგის“ გუნდი იყო. ოლიმპიური მზადების ცენტრის მოსწავლეებმა აღნიშნული მატჩიც შესანიშნავად წარმართეს და 2:0 დაამარცხეს მეტოქე. ბურთები გაიტანეს ბექა ბექაურმა და თომა სიყმაშვილმა. გამარჯვებული გუნდი ოქროს მედლებითა და თასით დააჯილდოვეს. საერთაშორისო ტურნირის ჟიურიმ VII ტრადიციული შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელის პრიზით თბილისელი გიორგი ხარძიანი დააჯილდოვა.

– სექტემბრის პირველ დეკადაში, – აღნიშნა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა თამაზ სამხარაძემ, – მიწვეულნი ვართ პოლონეთის დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომლისთვის სამზადისს მალე შევუდგებით...

**შალვა ჩიხლაძე**

**სურათზე: დიღმის ოლიმპიური მზადების ცენტრის გუნდი.**

**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

◉ სპორტულ ორბიტაზე



## ლევან ცქიტიშვილი – „მეტალურგში“

**მომავალი საფეხბურთო სეზონისთვის დონეცკის „მეტალურგის“ პირველი ახალბედა ფეხბურთელი იქნება საქართველოს ნაკრების 28 წლის ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი. როგორც უეფას საიტი იუწყება, ის უკრაინაში „ფრაიბურგიდან“ გადავიდა.**

## „დიდი მარყუჟების“ დისტანციები

**თუ სრულიად მოულოდნელი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ პირველ ეტაპზე 26 წლის ამერიკელის დეივ ზაბრისკის გამარჯვება, რადგან მთელი ყურადღება აქ ექვსგზის გამარჯვებულზე, ამერიკელ ლენს არმსტრონგზე იყო გადატანილი, მეორე ტურში მაინცდამაინც არ გაჰკვირვებიათ 24 წლის ბელგიელის ტომ ბუნენის წარმატება („კვიკ სტეპი“), რადგან ის კლასიკური ერთდღიანების ოსტატად ითვლება.**

აღსანიშნავია, რომ „ტურის“ სტარტის წინ ბუნენი ისე შეაწუხა კბილის ტკივილმა, რომ რბოლიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ფრანგი სტომატოლოგის მადლიანმა ხელმა ეს პრობლემა მოუხსნა. თანაც ისე, რომ მესამე ეტაპზე, ვგონებ, აღარც კი გახსენებია ის, 212,5 კილომეტრი ყველაზე სწრაფად გაიარა და მეორედ გაიმარჯვა.



საერთო პირად ჩათვლაში წინ დევიდ ზაბრისკია (აშშ „ტიმ სი-ეს-სი“) 8.48.31, მეორეზე კი ლენს არმსტრონგია (აშშ. „დისკავერი ჩანელ“) – ჩამორჩენა 0,02.

## გაშიშვლებული სამჭიდი

**რუსეთელმა ახალმა ამორძალებმა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ სცადეს დედიშობილად სპორტული ასპარეზობა, თუმცა მაშინ მხოლოდ ორჭიდით დაკმაყოფილდნენ – ერთმანეთს მშვილდისრობასა და ველორბოლაში შეეჯიბრნენ. ახლა კი მოსკოვის მახლობლად ნუდისტურ პლაჟზე გაშიშვლებულმა ქალმა სპორტსმენებმა უკვე სამჭიდში სცადეს ბედი. მათ ძველ ორ სახეობას ცხენით ჯირითიც დაუმატეს.**

არაჩვეულებრივი სანახაობა გამოვიდა. ათობით გაშიშვლებულმა ქალიშვილმა ველოსიპედებით მდინარე ოკას სანაპირო დალაშქრეს, შემდეგ ცხენებზე ამხედრებულები დაბრკოლებათა გადალახვაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

ბოლოს კი 25 მეტრზე მშვილდისრობაში იასპარეზეს. გამარჯვებული მოსკოველი ლერა ლემენშეკოა, რომელიც ძვირფასი საჩუქრებით დაჯილდოვდა.

ასპარეზობას გულშემატკივრებიც არ აკლდა. ნუდისტური წესების მიხედვით მამაკაცებიც შიშვლები ქომაგობდნენ ქალებს.



◉ ოლიმპიზმი

# დღეს გახდება ცნობილი



**გუშინ სინგაპურში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 117-ე სესიამ. ის, ბუნებრივია, ჩვენს პლანეტაზე ოლიმპიური მოძრაობის ბევრ მტკივნეულ პრობლემაზე იმსჯელებს, მაგრამ უმთავრესი, რასაც მთელი მსოფლიო სულმოუთქმელად მოელის – 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის დასახელებაა: მოგეხსენებათ, ამ დიდი მისიის კანდიდატი 5 უზარმაზარი მეგაპოლისი: პარიზი, ლონდონი, მადრიდი, მოსკოვი და ნიუ-იორკია.**

როგორც სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ განაცხადა, ხუთივე ქალაქს გამარჯვების თითქმის თანაბარი პერსპექტივები გააჩნია, თუმცა გამარჯვებული მაინც ერთი იქნება. ეს კი ალბათ ორიოდე ხმის უპირატესობით გადაწყდება.

სინგაპურში თავიანთი ქალაქ-კანდიდატების მხარდასაჭერად ძალზე ავტორიტეტული დელეგაციები ჩავიდნენ. აქ მოელიან ინგლისის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერის, საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს, ესპანეთის დედოფალს სოფიოს, ამერიკელ სენატორს ჰილარი კლინტონს, რუსეთის პრემიერს მიხეილ ფრადკოვს, მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს და ა. შ.

ძალზე საგულისხმოა თავიანთი ქალაქების მხარდამჭერი სპორტული დელეგაციების შემადგენლობაც.

ნიუ-იორკმა სხვებთან ერთად სესიაზე ჩაიყვანა ლეგენდარული მოკრივე მოჰამედ ალი, ლონდონელებმა – ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი ცოლითურთ, ფრანგებმა – კალათბურთელი ტონი პარკერი, „სანანტონიოსთან“ ერთად ჩემპიონი რომ გახდა. ესპანეთს სხვებთან ერთად ფეხბურთელი რაული წარმოადგენს.

სესიაზე ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატურების განხილვა დღეს ჩვენი დროით დილის 5 საათზე დაიწყება და ნაშუადღევისთვის უკვე ცნობილი გახდება, თუ ვის ერგო 7 წლის შემდეგ დიდი სპორტული დღესასწაულის მასპინძლობის პატივი.

◉ ჭადრაკი ოთხშაბათობით

# კომპოზიციის კლასიკოსი

**თანამედროვე მხატვრული ეტიუდის ფუძემდებელი, სპორტის ოსტატი კომპოზიციაში (1934), „ამოცანების და ეტიუდების“ კრებულის რედაქტორი (1927-30), მთელი რიგი თეორიული სტატიების ავტორი, პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოსი ლეონიდ კუბელი (1891-1942) დაიბადა სანკტ-პეტერბურგში.**

1903 წლიდან შეადგინა 2800 ამოცანა და 500 ეტიუდი. საერთაშორისო კონკურსებში 500 საპრიზო ადგილი დაიმსახურა, მათ შორის, 120 პირველი პრიზით აღინიშნა.

კუბელის ეტიუდებს ლაიტმოტივად გასდევს პატისა და „ცუგცვანგის“ (გერმანულად – იძულებითი საზიანო სვლის) აპოთეოზით შექმნილი კომპოზიციები, რომელშიც მცირე ძალები ამარცხებენ მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს. მის ეტიუდებში ხშირად გვხვდება მსუბუქი ფიგურების ბრძოლა ლაზიერის წინააღმდეგ.

ლეონიდ კუბელმა ზეგავლენა მოახდინა საჭადრაკო კომპოზიციის განვითარებაზე. დრომ მის შემოქმედებას ვერაფერი დააკლო.

**თამაზ შენგელია**

**ლ. კუბელი**

**1836 წ.**



**„ათი ათასსა აჯობებს (ლd8) თუ გამორჩევით მქმნელია“.**

**1. ლb8+ მფc5 2. ლe5+ მფ b4 3. ლc3+ მფc5 4. ლ:e3+ მფd6 5. ლg3+ მფc5 6. ლe5+ მფb4 7.ლc3+ მფc5 8. b4+ ლ:b4 9. ლe5X**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი




**გალაკტიონ ტაბიძე ტყიბულელ მეშახტეებთან. დიდ პოეტს ხელმარცხნივ უდგას ახალგაზრდა სამთო-ინჟინერი ქალი სოფი მესხი.**
1956 წელი.

**მოგვაწოდა მამუკა მესხმა**

## ⊙ გიხაროდეს!

### „ბიბიდაში" ვაჟიანობაა

**ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.**

მახარობლები დედაქალაქის თუ რეგიონების სამშობიარო სახლებიდან თითქმის ყოველდღე გვიკავშირდებიან, სასიამოვნო ამბებს გვატყობინებენ. გუშინ, დილით, რედაქციაში ტელეფონით სამშობიარო სახლ „ბიბიდადან" (ქავთარაძის ქუჩა) უფროსმა მეღდამ **დარეჯან თაბუკაშვილმა** გვაცნობა:



— ივლისის ოთხ დღეში ჩვენთან 7 ბავშვი დაიბადა, შვიდივე ბიჭია; მათ შორის ოთხი თბილისელია, ხოლო სამი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოყვანილი. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნიდან თამარ ნარეკლიშვილი, ფოთიდან მარიამ ცქიტიშვილი და მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურიდან ხათუნა ხელაია-ბაჩილავა ჩვენი სამშობიარო სახლიდან მალე გაეწერებიან და ოჯახებს ვაჟიანობით გაახარებენ.

**შვიდივე ბიჭის მომავლის გზა დაგვილოცნია.**

**ნათელა ფაილოძე**

## ⊙ ცოტაც გავიღიმოთ...



— **წარმოგიდგენიათ,** ჩემი ქმარი ქორწინებიდან მეხუთე დღეს გარდაიცვალა.
— გამართლებია, დიდხანს არ უწვალია უბედურს...

* * *

— **მიხო,** რა არის მონარქია?
— როდესაც სახელმწიფოს მეფე მართავს.
— თუ მეფე მოკვდა?
— მაშინ — დედოფალი.
— თუ დედოფალიც გარდაიცვლება?
— მაშინ — ვალეტი.

* * *

**კითხვაზე** — „არის თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ", ჩვეულებისამებრ, ასე ვუპასუხებ: „თუ სიცოცხლე იქაც არ არის, მაშინ საშველი არ ყოფილა"!

* * *

**მოსემ** ორმოცი წელიწადი ატარა ებრაელები უდაბნოში და ბოლოს, როგორც იქნა, მიიყვანა აღთქმულ მიწაზე. მაგრამ ზოგიერთ ებრაელს პროცესი შედეგზე უფრო მოეწონა... ასე გაჩნდნენ ბოშები.

* * *

**პირველად** საბავშვო ბაღში შემიყვარდა. მას სასაცილო ბანტები ეკეთა და ვარდისფერი კოფთა ეცვა. მე კი ბაღიდან შვილის გამოსაყვანად ვიყავი მისული.

* * *

**მდივანი** ქალი დირექტორთან შედის კაბინეტში და ეუბნება:
— ორი ახალი ამბავი მაქვს: კარგი და ცუდი.
— კარგით დაიწყე.
— შეფ, თქვენ უნაყოფო არ ყოფილხართ.

* * *

— **ხომ** გეუბნები, ქალო, არ დამილევია-მეთქი, სპეციალურად. უბრალოდ, ნავაჭრი დავასველე.
— რა იყიდე ასეთი?
— როგორ თუ რა? არაყი.

* * *

— **სად** მუშაობს თქვენი ქმარი?
— უკვე სამი თვეა, ღვინო-არყის ქარხანაში მუშაობს.
— მერე მოსწონს იქაურობა?
— არ ვიცი. ჯერ სახლში არ მოსულა.

## ⊙ სხარტულა

### ფიქრი ეკრანის პირას

არ მოვსწრებოდი ცემა-ტყეპის
იმ სხდომას ნეტავ,
გულს სინანული არ დამეტია.
— პარლამენტია? — შევძახი ეკრანს,
და ქუხს ეკრანი: — პარლამენტია!..

**თამაზ ილმელი.**

## ⊙ ვინ როგორ ისვენებს?

# მზემ „ბრჭყალები" გამოაჩინა

## რა შეიცვალა წლეულს, შარშანდელთან შედარებით, თბილისის ზღვაზე?

**ბოლო შაბათ-კვირა, ბევრ სხვა თანაქალაქელთან ერთად, „თბილისის ზღვაზე" გავატარე. ადრეც ვაპირებდი აქ ამოსვლას, მაგრამ გამუდმებულმა წვიმებმა ამის საშუალება არ მომცა. დადგა თუ არა ივლისი, მზემ დამალული „ბრჭყალები" გამოაჩინა და ზღვაზეც დამსვენებელმა იმატა.**

**ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ აქაური „მოაგარაკენი", კუს ტბისგან განსხვავებით, პლაჟზე შესასვლელად ფულს არ იხდიან. თუმცა ეს შეღავათი მათზე, ვინც ავტომანქანებით მოდის საბანაოდ, არ ვრცელდება. მათთვის გადასახადი საკმაოდ მოკრძალებულია — 50 თეთრი.**

მოკრძალებული-თქო იმიტომ ვამბობ, რომ ისინი ზღვაში ზოგჯერ მართლაც ავტომანქანებით შეცურავენ ხოლმე, რაც „ფეხით მობანავეთა" არც თუ უსაფუძვლო აღშფოთებას იწვევს.

ასეთ ფაქტს მეც შევესწარი. ერთმა „მოაგარაკემ" საკუთარი „ნივის" ზღვაში გაბანება მოიწადინა, რასაც მზეზე მიფიცხებული დამსვენებლები წინ აღუდგნენ.

— მეგობარო, — უთხრეს, — ჩვენ არ გვინდა შენ ტალახიან მანქანასთან ერთად ბანაობა, გთხოვთ, ახლავე გაიყვანოთ!

— არც ჩემი მანქანაა მაინც და მაინც დაინტერესებული თქვენთან მეგობრობით, — სცადა ავტომფლობელმა მათი დამშვიდება, — უბრალოდ ტალახს დავალბობ და გაგარიდებთ.

— არავითარი დალბობა, დაულბობლად გაიყვანეთ, — კატეგორიულად მოსთხოვეს.

მე პირადად მომეწონა მანქანებით მობანავეთადმი ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ ზოგმა, როგორც ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, ლმობიერება გამოიჩინა და წესრიგის დამრღვევს დაუჭირა მხარი:

— რა მოხდა მერე, შე კაცო, მანქანას აბანავებს, ღორს ხომ არა.

ღორებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ძაღლების ბანაობა აქ ნამდვილად დაკანონებულია (როდის მიიღო პარლამენტმა ასეთი კანონი, ვერ გეტყვით). ვერც იმას ვიტყვი, რომ ძაღლები ამას საკუთარი სიამოვნებისთვის აკეთებენ, მაგრამ პატრონები პლასტმასის ბოთლებს ზღვაში ისვრიან და ძაღლები იძულებული ხდებიან, შეცურონ და გამოიტანონ. აბა, ასეთ ძვირფას ნივთს იქ ხომ არ დატოვებენ!

არის შემთხვევები, როცა ძაღლები „სპორტის" ამ სახეობაზე უარს აცხადებენ, მაგრამ ასეთ დროს მათი პატრონები პირუტყვს სასტიკად უწყრებიან და ტუქსავენ. რა თქმა უნდა, ისინი ამ დროს სულაც არ ფიქრობენ დამსვენებელთა ინტერესებზე, რომლებსაც ძაღლებთან ერთად ბანაობა შეიძლება სულაც არ სიამოვნებთ. ვიღაც მელოტმა, გამხდარმა დამსვენებელმა ამის გამო აკი პროტესტიც გამოხატა:

— შარშან სწორედ მაგ მოასპარეზე ძაღლებისგან შემომაღოღდა რაღაც ტკიპა, რომელიც მაშინვე მოვიცილე, მაგრამ იმ ადგილზე ქავილი დღემდე არ შემწყვეტია...

არის სხვა პრობლემებიც. პლაჟის შესასვლელშივე ზღვაზე ჩამავალი ნახევარსაუკუნოვანი ბეტონის კიბეები, რომლითაც უფრო მოხუცები სარგებლობდნენ, ჩაინგრა. რატომღაც იმედი მქონდა, რომ წელს მაინც შეაკეთებდნენ, მაგრამ არა! არც ზღვაში წლების მანძილზე მოდებული ბალახის გაწმენდაზე უზრუნია ვინმეს. არადა, ადვილი მოსალოდნელია, მასში მობანავე გაიხლართოს და დაიხრჩოს კიდეც.

ამ ნაკლთან ერთად ზოგი რამ საქებარიც ვნახე. დანგრევის პირას მისული მინიფეხბურთის მოედანი აღუდგენიათ და შეუღებავ-გაულამაზებიათ. აქ მუდამ ხალხმრავლობაა, ბიჭები თან ზღვაში ჭყუმპალაობენ და თან ფეხბურთის თამაშით იქცევენ თავს.



იქვე, გვერდით, მოუწესრიგებიათ ორძელი, ღერძი, სხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი იარაღები. აფსუს, ვამბობ ჩემთვის, ახალგაზრდა რომ ვიყო, ხომ „სოლნცეს" დავატრიალებდი...

მომეწონა საჩრდილობლები, რომელიც არა მარტო აღუდგენიათ, ლამაზი ფერებითაც შეუღებავთ. საქანელებზე ხომ ნუღარ იტყვით, მათ ონავარი გოგო-ბიჭებისგან მოსვენება დაუკარგავთ.

კინაღამ გამომრჩა, პლაჟის ერთ ნაწილზე ქვიშაც დაუყრიათ, უფრო სწორედ, ღორღი, რომელიც ზოგ დამსვენებელს მოსწონს, ზოგს არა. თუ ძალიან რბილი და სქელი ქვეშაგები არა გაქვს, „ზღვის კენჭები" უსიამოვნო მდგომარეობაში ჩაგაყენებთ. ერთ ქალბატონს, მაგალითად, რომელსაც ზურგზე ასეთი „კენჭები" აეკრა, ვიღაც თავაზიანმა მამაკაცმა გაცლა მოუწადინა, მაგრამ დამსვენებელმა ამაზე სასტიკი უარი განაცხადა და დიდი წვალების შემდეგ საკუთარი ძალებით მოიცილა.

ამას უყურებდა ჩრდილში მჯდომი პლაჟის დამსუფთავებელი მოხუცი ამო და გულიანად ხითხითებდა.

— წელს, ეტყობა, ნაკლები სამუშაო გაქვს, — ვეუბნები, — პლაჟი შარშანდელთან შედარებით სუფთად გამოიყურება.

— ეჰ, ჯერ სადა ხარ, აბა დადგება საზამთროს სეზონი, მაშინ ნახე. თან ჭამენ, თან ქერქები ზღვაში ყრიან. მე ხო პლავკით არ დადიხარ, რო გამოიტანო.

— ნუ გეშინია, — ვამხნევებ ამოს, — წელს დამსვენებლები ისე უკულტუროდ აღარ მოიქცევიან, როგორც წინა წლებში იქცეოდნენ. სხვა არა იყოს რა, ჩვენ ხომ უკვე ევროპელები ვართ!



**ოთარ ხუციშვილი.**
**ჯავარ ლომაძის ფოტო.**

## ⊙ ერთი ფოტოსურათის ისტორია

# დიდი მეცნიერის — დიდი ფასი



**ეს სურათი 1976 წელსაა გადაღებული და თავისი ისტორია აქვს, რომელიც მოქანდაკე მერაბ მეტრეველმა მიამბო:**

— იმ წელს, გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობამ მამაჩემს — მხატვარ შოთა მეტრეველს სთხოვა, ტყვიავში დაბადებული, საქვეყნოდ სახელგანთქმული მწერლისა და მრავალ თაობათა აღმზრდელის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის პორტრეტი შეექმნა მუზეუმისთვის.

მაშინ ნიკო კეცხოველი ბოტანიკის ინსტიტუტს თავკაცობდა. მამამ მე და დედა აგვიყოლია, ესტუმრა მეცნიერს და მისვლის მიზანი გააცნო.

— არა, თქვენი ჭირიმე, აბა, მე ისეთი რა გამიკეთებია ქვეყნისთვის, რომ ჩემი სურათი მუზეუმში დაიკიდოსო.

თხოვნამ არ გაჭრა, ბატონი ნიკო შეუვალი აღმოჩნდა და კვლავ სასტიკი უარი განაცხადა.

თან ასეთი საინტერესო ისტორია მოჰყვა: იაკობს საზოგადოებამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავი სადილი გაუმართა. იგი ამ ფაქტის წინააღმდეგი იყო. ის კი არადა, სადილზე თავად არც მივიდა. ის იაკობი იყო, და მაინც ასე მოიქცა, მე კი, მით უმეტეს, აბა, მე რა საპორტრეტო პიროვნება ვარო.

მერე თავისი ბავშვობა გაიხსენა. დინჯი, ტკბილ-ქართულით გვებაასებოდა. გამომშვიდობებისას კი თავისი ახლად გამოცემული წიგნი და რაღაც უცნაური მცენარის ნაყოფი გვისახსოვრა.

მამაჩემმა კი ის მაინც მოახერხა, რომ შეხვედრა ფირზე აღებეჭდა.

**მარცხნივ — მხატვრის შვილი, მოქანდაკე მერაბ მეტრეველი, მეუღლე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი მარგარიტა მეტრეველი, შუაში — ნიკო კეცხოველი.**

**გურამ გომართელი.**



**ქალბატონი** ელსი მოდ სტენლიო ჰოლი (1877-1976) ფორტეპიანოზე უკრავდა 90 წლის განმავლობაში. თავისი ბოლო კონცერტი მან ჩაატარა რასტენბერგში, (სტრანსვაალში).

* * *

**ნორვეგიელი** პიანისტი რეიდერ ტომერენი (1889–1986), რომელიც უკვე 90 წლისა იყო, კვირაში 30 საათზე მეტ ხანს თეატრის კაფეებში უკრავდა.

* * *

**ხელშეკრულებას** ინგლისსა და პორტუგალიას შორის 614 წლის წინათ, 1373 წლის 16 ივნისს მოეწერა ხელი ლონდონში. ტექსტი ჩვეულებრივი ხელმოწერით დაამოწმა კლერკმა ჯონ დე ბანკეტრმა.

* * *

**მსოფლიოში** ცნობილ ერთ-ერთ უმდიდრეს პიროვნებას ჯონ გეტის სახლში ფასიანი ტელეფონი-ავტომატი უდგას.

* * *

**უკვე** სახელმოხვეჭილი და ცნობილი მეცნიერი და პოეტი ლომონოსოვი, სიცოცხლის ბოლომდე გაჭირვებას განიცდიდა.

მივიწყებულები იყვნენ და სიღარიბეში გარდაიცვალნენ ანტონიო ვივალდი, ვან გოგი, გოგენი, შარლ ბოდლერი, ვერინი, იაბლოჩკოვი.

* * *

**თქვენ** თუ დაიწყებთ ჩვენ გალაქტიკაზე მდებარე ყველა ვარსკვლავის დათვლას და თითოეული მათგანის აღრიცხვას მოანდომებთ ერთ სეკუნდს, თქვენ ცდას დაამთავრებთ... სამი ათასი წლის შემდეგ.

* * *

**ქამელეონს** ენის გამოსაყოფად 0,05 წამი სჭირდება.

* * *

**ტრადიციული** ესკიმოსური ფეხსაცმელი იკერება სელაპის ტყავისაგან, მაგრამ ტყავი ძალიან უხეშია და ნემსი მასში არ გადის. ამიტომ ესკიმოსი ქალები ღეჭავენ ტყავს, რათა დაარბილონ. შეკერვის შემდეგ ტყავი შრება და ისევ მაგრდება.

* * *

**ადამიანის** სანერწყვე ჯირკვლები წელიწადში საშუალოდ 519 ლიტრ ნერწყვს გამოიმუშავებს.

---

„საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ამავე გაზეთის ყოფილი თანამშრომლის, პოეტ შოთა ნიშნიანიძის მეუღლეს, მწერალ თამარ ჩიჯავაძეს ძმის

გოგი (გიორგი) ჩიჯავაძის

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ნონა კვარაცხელია, შვილები მარიამ, დათა მოსიძეები, დედა მარგო დარსალია, დები ნონა გაბედავა, ნინო დარსალია, დისწულები ნანა, თინა, ნიკუშა, თეონა, სიდედრი გალინა შელია, სიძეები ოთარ გაბედავა, პაატა ლაგვილავა, ირაკლი არდაშელია, ქვისლი დათო ქარდავა, ცოლის დისწულები გიორგი, ვანო ქარდავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ ლუბის ძე მოსიძე

პანაშვიდი 7, 8 VII, გამოსვენება 9 VII, 16 სთ. დაკრძალვა წალენჯიხაში, ზუგდიდის ქუჩა №81.

---

თინა, ნოდარ, ქეთინო, ანა, ნინო გაბედავები, მანანა, გელა გაბუნიები, ცისანა კეკუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ ლუბის ძე მოსიძე

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

შვილები ნინო, მაკა დანელიები, და მაყვალა, სიძე პაატა კუჭუხიძე, დისწული თეიმურაზ დალაქიშვილი ოჯახით, რძალი ნაზიკო ბალიაშვილი, მძახლები ამირან, გულიკო კუჭუხიძეები, ახლო ნათესავები, მეგობრები იუწყებიან

გურამ (კაკულია) პორფილეს ძე დანელიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 5, 6 VII, 17 სთ. დაკრძალვა 7 VII, 15 სთ. მირცხულავას ქ. №14, II სადარბაზო.

---

მეუღლე ეთერ ქეცბაია, შვილები ირაკლი, ქეთი ლაგვილავები, რძლები მედიკო გვასალია, ეკატერინე მელაძე, სიძე იოსებ დოლიძე, შვილიშვილები გიორგი დოლიძე, შოთა (ჩიტა) ლაგვილავა, ნინი ლაგვილავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა (შურა) ლაგვილავა

პანაშვიდი 6 VII, 17 სთ. დაკრძალვა 7 VII, 15 სთ. ფალიაშვილის 78 ბ, სადარბაზო I, სართული მე-5.

---

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დეპარტამენტის თანამშრომელი

თამარ როსტომაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე კლიმენტი შელია, შვილები ზურიკო, თამრიკო, ირაკლი შელიები, შვილიშვილები მეგი, გუგა, ივიკო, ლუკა შელიები, ირინა, მეგი ჩიქოვანები, რძლები ხატია შელია, მანანა ნიკოლაძე, სიძეები ვალერი ჩიქობავა, სანდრო კაკულია, დევი ფირცხალავა, დისწულები მანანა, დათო კაკულიები ოჯახებით, დეიდაშვილები ჯილდა ბოგატელო, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მეგი (რუსუდან) დავითის ასული
ფურცხვანიძე-შელია

პანაშვიდი 7, 8 VII, 17 სთ. გამოსვენება 9 VII, 15 სთ. ი. ჭავჭავაძის გამზირი 42, III სად. VI სართ.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თანაუგრძნობს გულრიფშის განათლების განყოფილების გამგეს ვალერიან ვეკუას დედის

დინარა სიჭინავა-ვეკუას

გარდაცვალების გამო.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური — 022;**
**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**
**თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**

## ⊙ ამინდი

| 6 ივლისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 31⁰ | 18⁰ |
| ბათუმი | 25⁰ | 17⁰ |
| სოხუმი | 24⁰ | 16⁰ |
| ქუთაისი | 26⁰ | 18⁰ |
| თელავი | 31⁰ | 17⁰ |

## ⊙ ლარის კურსი

**6 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3,1996 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8225 ლ. |
| ევრო | 1 | 2,1673 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0632 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0,3873 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4135 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.6341 ლ. |

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK